



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი
 პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე
 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
 გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე
 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე
 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა
 პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი
 პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი
 პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი, სამართლის დოქტორი ანრი ოხანაშვილი (თსუ), LL.M. (იენა)

შინაარსი

სტატიები

თანამედროვე გერმანული სისხლის სამართლის პოლიტიკა – ლიბერალური ტენდენციები თუ გამკაცრება?

პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*, კიოლნის უნივერსიტეტი

1

ცრუ ჩვენება, როგორც ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *გიორგი თუმანიშვილი LL.M.* (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

13

გადაწყვეტილების კომენტარი

წამება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (EGMR) 2010 წლის პირველი ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *ბეზგენი გერმანიის წინააღმდეგ* (Nr. 22978/05)

მეცნიერ-თანამშრომელი *სელინ ოსვალდი*, თიუბინგენის უნივერსიტეტი

20

წიგნის რეცენზია

ბიორგი დგებუბა: დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საქართველოს სისხლის სამართალში

თბილისი, 2021, „მერიდიანი“, ISBN: 978-9941-25-819-0, გვ. 360

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ლაფრენტი მაღლაკელიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

28



სარედაქციო კოლეგია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
პროფ. დოქ. ლავრენტი მაღლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასისტენტი, სამართლის დოქ. ანრი ოხანაშვილი LL.M.
(იენა)
დოქ. ანეკე პეტცშე
დოქ. მარტინ პიაცენა
დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის
შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩიანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასოცირებული პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასოცირებული პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M.
(ფრაიბურგი)
პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M. (მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი
ფრანკ ჰუფველდი

ჟურნალის 2023 წლის პირველი გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:
სამართლის დოქ. ხატია თანდილაშვილი LL.M.
(პოტსდამი), ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი
ნინო ქორიაშვილი LL.M. (იენა), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
თამარ შავგულიძე LL.M. (პასაუ), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
სამართლის დოქ. მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი),
ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა, ჟურნალის
სამუშაო ჯგუფის წევრი

2023 წლის პირველ გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), ასისტენტი (თსუ),
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

თანამედროვე გერმანული სისხლის სამართლის პოლიტიკა – ლიბერალური ტენდენციები თუ გამკაცრება? * **

პროფესორი, სამართლის დოქ. *მარტინ პაულ ვასმერი*, კიოლნის უნივერსიტეტი

I. შესავალი

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, გერმანული სისხლის სამართლის ფუნდამენტი უცვლელი რჩებოდა. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი¹, რომელიც 1871 წლის 15 მაისის რაიხის სისხლის სამართლის კოდექსიდან² იღებს სათავეს, სისხლის სამართლის დიდი რეფორმის ფარგლებში, 1970-იან წლებში, სისხლის სამართლის რეფორმის 5 კანონის მეშვეობით (1969-1974), საფუძვლიანად შეიცვალა.³ შემდეგი დიდი რეფორმა განხორციელდა 1998 წელს, სისხლის სამართლის რეფორმის მეექვსე კანონით,⁴ რომელსაც შედეგად არაერთი კონკრეტული ცვლილება მოჰყვა. 1998-2002 წლებში, დაახლოებით 100-მა კანონმა გსსკ-ში სისხლის-სამართლებრივი ნორმების მოდიფიცირება ან შეცვლა გამოიწვია.⁵ საქართველოსგან⁶ განსხვავებით, რომელშიც სისხლის სამართლის ყველა ნორმა სისხლის სამართლის კოდექსშია თავმოყრილი, გერმანულ დამატებით სისხლის სამართალში უამრავი

* სტატია გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, *თამარ შავგულიძემ*.

** მოხსენების წერილობითი ვერსია, რომელიც საგაზაფხულო სკოლის „სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებების“ ფარგლებში, 2023 წლის 4 მარტს გაიმართა თელავში. ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს უნივერსიტეტის (თბილისი) ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი და ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის.

¹ შემდგომ შემოკლებულია, როგორც გსსკ.

² შემდგომ შემოკლებულია, როგორც რსსკ.

³ 10.09.1998 წლამდე ცვლილებების მიმოხილვა იხ. *Tröndle, Herbert/Fischer, Thomas, Strafgesetzbuch und Nebengesetze*, 50. Aufl., 2001, S. LI ff.

⁴ შემდგომ შემოკლებულია, როგორც სსრმკ.

⁵ 12.11.1998 წლიდან ცვლილებების მიმოხილვა იხ. *Fischer, Thomas, Strafgesetzbuch und Nebengesetze*, 70. Aufl., 2023, S. LIX ff.

⁶ ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკასთან დაკავშირებით იხ. *ობანაშვილი, ანრი, DGStZ* (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი) 4/2022, 142-153 (ქართული ვერსია).

ცვლილება განხორციელდა. ამჟამად 426 (!) გერმანული დარგობრივი კანონი შეიცავს სისხლისსამართლებრივი ნორმების ვრცელ ნაწილს.⁷ კითხვაზე პასუხისთვის, თანამედროვე გერმანული სისხლის სამართლის პოლიტიკა ლიბერალური ტენდენციებით ხასიათდება თუ გამკაცრებით, თვალი უნდა გადავავლოთ რამდენიმე მნიშვნელოვან რეფორმას.

II. სისხლის სამართლის რეფორმის მეექვსე კანონი (1998)

1998 წლის 26 იანვრის სსრმკ,⁸ რომელიც 1998 წლის პირველ აპრილს შევიდა ძალაში, სისხლის სამართლის უკანასკნელი დიდი რეფორმის კანონია. სისხლისსამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებისა და სამართალგამოყენების გამარტივებისთვის იგი მიზნად ისახავდა გსსკ-ის კერძო ნაწილის განახლებას, სასჯელის ფარგლების ჰარმონიზებას, აგრეთვე, დროსთან შეუსაბამო ან უსარგებლო სისხლისსამართლებრივი ნორმების გაუქმებას.⁹ რეფორმის აუცილებლობა განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით არსებობდა, რომ ზოგ შემთხვევაში ქონების ან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დელიქტებისათვის სასჯელის უფრო მაღალი ფარგლები იყო დადგენილი, ვიდრე სხეულის დაზიანების დელიქტებისათვის. ამისათვის მოხდა სასჯელის ზომების შესაბამისობაში მოყვანა, რათა პიროვნულ სამართლებრივ სიკეთეებს (სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას, თავისუფლებას) მატერიალური სამართლებრივი სიკეთეების (საკუთრების, ქონების, სამართლებრივი ურთიერთობის უსაფრთხოების) პირისპირ მეტი მნიშვნელობა

⁷ იხ. Bundesministerium der Justiz (Hrsg.), *Bundesrechtliche gesetzliche Straf- und Bußgelddrohungen im Nebenstrafrecht*, Stand: 03.01.2022, S. 9 ff., 139.

⁸ BGBl. (Bundesgesetzblatt) I, 1998, S. 164.

⁹ BT-Drs. (Bundestagsdrucksache) 13/8587, S. 1.

შეეძინა. ამას გარდა, დასჯადობის ხარვეზების გამოსარიცხად, განმარტების სირთულეების დასაძლევად, ფაქტობრივი შემადგენლობების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და სისხლისსამართლებრივი ნორმების აგებულებისა და ენობრივი გამოყენების გაერთიანების მიზნით, შეივსო და ახლებურად ჩამოყალიბდა სისხლისსამართლებრივი ნორმები.¹⁰ ეს განსაკუთრებით ეხებოდა ცეცხლის წაკიდების დელიქტებს. თუმცა ცვლილებები აგრეთვე შეეხო სხეულის დაზიანებისა და ქურდობის დელიქტებსაც. ბოლოს გაუქმდა დროსთან შეუსაბამო ნორმები, როგორებიცაა საემიგრაციო თაღლითობის უსარგებლო ნორმა (გსსკ-ის 144-ე პარაგრაფის ძველი რედაქცია) და ახალშობილის მკვლელობა (გსსკ-ის 217-ე პარაგრაფის ძველი რედაქცია), რომელიც შეიძლება განზრახ მკვლელობის ნაკლებად მძიმე შემთხვევით (§ 213 გსსკ) იქნეს მოცული.¹¹

სსრმკ-ით კანონმდებელმა საკუთარ თავს მეტი მისთვის მოსთხოვა: 1871 წლის შემდეგ გსსკ-ის ყველაზე ფართომასშტაბიანი ცვლილებების პროექტი, რომელიც მცირე დროში ცალკეული ნორმების ფუნდამენტურ ცვლილებას ითვალისწინებდა, მან უმოკლეს საკონსულტაციო პერიოდში შექმნა და მხოლოდ 2 თვიანი გარდამავალი პერიოდი დაადგინა.¹² ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ რეფორმისადმი გამოჩენილ ენთუზიაზმში მან არაერთი უზუსტობა დაუშვა, რამაც კრიტიკული პუბლიკაციების ნიაღვარი გამოიწვია. მით უფრო იმის გამო, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება საკანონმდებლო პროცესში ნაკლებად იყო ჩართული. მაგალითად, ცეცხლის წაკიდების დელიქტების მონესრიგების სისტემა „სრულ წარუმატებლობად“ შეფასდა, ის იწვევდა აბსურდულ შედეგებს და ამ რეგულაციების გამოყენებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა.¹³ კრიტიკა წარმოიშვა სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებთან დაკავშირებითაც, რომლებთან მიმართებით კანონმდებელმა იმგვარი რეგულაციები შექმნა, „რომელთა ეფექტებზე თავად

ვადაც არ ჰქონდა წარმოდგენა“.¹⁴ განმარტების სირთულეები სასამართლოსა და მეცნიერების მიერ მოგვარდა, ხოლო ნაწილი შემდგომი ცვლილებების ფარგლებში იქნა აღმოფხვრილი. რეფორმის უმთავრესი აღმოჩენა შეიძლება ის იყოს, რომ არ არის სასურველი, კანონშემოქმედებითი პროცესი წარმართოს დევიზით „მოსამართლე გამოასწორებს“.¹⁵

III. კორუფციის სისხლის სამართალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, კორუფციის სისხლის სამართალი რამდენჯერმე ფუნდამენტურად გაფართოვდა და არსებითად გამკაცრდა, უპირველესად, ევროპული და საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინებით.¹⁶ თავდაპირველად, 1997 წლის 13 აგვისტოს (პირველ) კანონს „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“¹⁷ 1997 წლის 20 აგვისტოსთვის არაერთი განვრცობა და გამკაცრება მოჰყვა შედეგად.¹⁸ გსსკ-ის მე-11 პარაგრაფის პირველი აბზაცის Nr. 2, ქვეპუნქტი c შეივსო თანამდებობის პირის ცნებით, რათა მას სამომავლოდ ისეთი პირებიც მოეცვა, რომლებიც საჯარო ადმინისტრაციის ამოცანებს კერძოსამართლებრივად ორგანიზებულ საწარმოში ახორციელებდნენ. გამარტივდა გსსკ-ის 331-ე (სარგებლის მიღება) და 333-ე პარაგრაფების (უპირატესობის მინიჭება) წინაპირობა – უმართლობაზე შეთანხმება, ისე რომ ორიენტირება მოხდა არა კონკრეტულ სამ-

¹⁰ BT-Drs. 13/8587, S. 18.

¹¹ BT-Drs. 13/8587, S. 28 f. და S. 34.

¹² Fischer, Thomas, NSTZ (Neue Zeitschrift für Strafrecht) 1998, 13.

¹³ Fischer, Thomas, NSTZ 1998, 13, 14.

¹⁴ Jäger, Christian, JuS (Juristische Schulung) 2000, 31, 32.

¹⁵ Renzikowski, Joachim, NSTZ 1999, 440, 442.

¹⁶ Übereinkommen über die Bekämpfung der Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind vom 26.05.1997, BGBl. II, 2002, S. 2729; Übereinkommen über die Bekämpfung der Bestechung ausländischer Amtsträger im internationalen Geschäftsverkehr vom 17.12.1997, BGBl. II, 1998, S. 2329; Strafrechtsübereinkommen des Europarates über Korruption vom 27.01.1999 nebst Zusatzprotokoll vom 15.05.2003, BGBl. II, 2016, S. 1323; Rahmenbeschluss 2003/568/JI des Rates zur Bekämpfung der Bestechung im privaten Sektor vom 22.07.2003, ABi. EU (Amtsblatt der Europäischen Union), L 192, S. 54; Übereinkommen der Vereinten Nationen gegen Korruption vom 31.10.2003, BGBl. II, 2014, S. 763.

¹⁷ BGBl. I, 1997, S. 2038.

¹⁸ იხ. მიმოხილვა Waßmer, Martin Paul, in Louis, Jürgen/Glinder, Peter/Waßmer, Martin Paul (Hrsg.), Korruptionsprävention in der öffentlichen Verwaltung, 2020, Rn. 258.

სახურებრივ ქმედებაზე, არამედ საკმარისი გახდა „სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება“. ამდენად, დასჯადი გახდა თანამდებობის პირის „მოთაფვლა“. ამას გარდა, ახალი შემადგენლობებით მოცულ იქნა მესამე პირისთვის სარგებლის მინიჭება და მიღება. გსსკ-ის 333-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ იქნა სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში უკვე განხორციელებული ქმედებები, ასევე, სასამართლო ქმედებები. გსსკ-ის 331-ე და 333 პარაგრაფებში გამკაცრდა სასჯელის ფარგლები, ხოლო განსაკუთრებით მძიმე შემთხვევისთვის სასჯელის ზომის განსაზღვრის წესი გსსკ-ის 335-ე პარაგრაფით დადგინდა. საბოლოოდ, დასჯადი გახდა კორუფცია სამეწარმეო ურთიერთობაში (§ 299 გსსკ) და მისი განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა (§ 300 გსსკ).

შემდგომი გამკაცრება 18 წლის შემდეგ მოხდა, „კორუფციასთან ბრძოლის“ 2015 წლის 20 ნოემბრის (მეორე) კანონით,¹⁹ რომელიც 2015 წლის 26 ნოემბერს შევიდა ძალაში. იგი ემსახურებოდა ევროპული და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შემდგომ აღსრულებასა და კორუფციული დანაშაულების შემადგენლობების დამატებითი სისხლის სამართლიდან გსსკ-ში გადმოტანას.²⁰ მე-5 პარაგრაფის Nr. 15 a ქვეპუნქტიდან d ქვეპუნქტამდე გსსკ-მ მოიცვა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც გერმანიასთან არის კავშირში. ამის შედეგად, მრავალი კორუფციული დანაშაული დანაშაულის ჩადენის ადგილისგან დამოუკიდებლად ისჯება. გსსკ-ის მე-11 პარაგრაფის პირველი აბზაცის Nr 2-ში განიმარტა „ევროპელი თანამდებობის პირების“ ცნება, მათ შორის, გსსკ-ის 311-ე და შემდგომ პარაგრაფებში, რათა მას ევროკავშირის მოხელეთა კორუფციული დანაშაულებიც მოეცვა. ამას გარდა, გსსკ-ის 335a-ე პარაგრაფით უცხოელი და საერთაშორისო მოხელეები გაუთანაბრდნენ სხვა გერმანელ თანამდებობის პირებსა და მოსამართლეებს. საბოლოოდ, გსსკ-ის 299-ე პარაგრაფში ინტეგრირდა ე.წ. „ხელმძღვანელი პირის მოდელი“ და ნორმა ერთგულების მოვალეობის დარღვევის მსგავსად ჩამოყალიბდა.

„ჯანდაცვის სფეროში კორუფციასთან ბრძოლის“ 2016 წლის 30 მაისის კანონით²¹, 2016 წლის

4 ივნისს ძალაში შევიდა დანაშაულის შემადგენლობები ჯანდაცვის სფეროში მოსყიდვისა (§§ 299a, 299b გსსკ) და მისი განსაკუთრებით მძიმე შემთხვევისათვის (§ 300 გსსკ). აღნიშნულის მიზეზი იყო გერმანიის ფედერალური სასამართლოს დიდი სენატის 2012 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება.²² სენატმა დამოუკიდებელი პრაქტიკის განმხორციელებელი ექიმი არ მიიჩნია არც თანამდებობის პირად, გსსკ-ის მე-11 პარაგრაფის პირველი აბზაცის, Nr 2a, c ქვეპუნქტის გაგებით და არც ჯანმრთელობის სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლად, გსსკ-ის 299-ე პარაგრაფის გაგებით. ამდენად, სახეზე იყო დასჯადობის ხარვეზი. ჯანდაცვის სისტემის დიდი მნიშვნელობის გამო, არსებობდა კონსენსუსი, რომ კორუფციულ პრაქტიკასთან საჭირო იყო სისხლის სამართლის მეშვეობით ბრძოლა. ახალ სისხლისსამართლებრივ ნორმებს არაერთხელ მიესალმა სისხლის სამართლის მეცნიერება.²³ თუმცა ამასთანავე არსებობდა მოწოდება, რომ მომსახურების მიმწოდებლის სასურველი კომუნიკაცია ფარმაცევტულ კომპანიებსა და სამედიცინო პროდუქტების მწარმოებლებთან არ შეიძლებოდა კრიმინალიზებული ყოფილიყო.²⁴ გასაკვირი იყო, რომ ნორმები არ მოიცავდა ფარმაცევტა პროფესიულ ჯგუფს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შემთხვევაშიც საკმაო კორუფციული რისკები არსებობს.²⁵

და ბოლოს, 2017 წლის 11 აპრილის „სისხლის სამართლის ცვლილებების 51-ე კანონით“²⁶ 2017 წლის 19 აპრილისთვის შეიქმნა სისხლისსამართლებრივი შემადგენლობები სპორტული ფსონებით თაღლითობის (§ 265c გსსკ), პროფესიული სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებისა (§ 265 გსსკ) და მისი განსაკუთრებით მძიმე შემთხვევისთვის (§ 265d გსსკ). შედეგად, გამოირიცხა გსსკ-ის 263-ე (თაღლითობა) და 299-ე პარაგრაფებთან (კორუფცია სამეწარმეო ურთიერთობაში)

²² BGHSt 57, 202 = BGH NJW (Neue Juristische Wochenschrift) 2012, 2530.

²³ შეად. მხოლოდ Schröder, Thomas, NZWiSt (Neue Zeitschrift für Wirtschafts-, Steuer- und Unternehmensstrafrecht) 2015, 361, 365.

²⁴ Dann, Matthias/Scholz, Karsten, NJW 2016, 2077, 2080; Krüger, Matthias, NZWiSt 2017, 129, 137.

²⁵ Brettel, Hauke/Mand, Elmar, A&R (Arzneimittel & Recht) 2016, 99, 103; Tsambikakis, Michael, medstra (Zeitschrift für Medizinstrafrecht) 2016, 131, 132.

²⁶ BGBl. I, 2017, S. 815.

¹⁹ BGBl. I, 2015, S. 2025.

²⁰ BT-Drs. 18/4350, S. 13.

²¹ BGBl. I, 2016, S. 1254.

დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ხარვეზები. კანონმდებლის შეხედულებით, სპორტის განსაკუთრებული საზოგადოებრივი როლი, მისი დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ქონებრივი ინტერესები, საფრთხეები, რომლებიც მანიპულაციებისგან მომდინარეობდა, სისხლის სამართლის ბასრი მახვილით წინააღმდეგობას საჭიროებდა.²⁷ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ამგვარი განვრცობა მკაცრად გააკრიტიკეს.²⁸ იმის გარდა, რომ საეჭვოა საკითხის სისხლისსამართლებრივი მონესრიგების აუცილებლობა, არაერთი კითხვა ჩნდება დანაშაულის შემადგენლობებთან დაკავშირებითაც. მაგალითად, ძალზე განუსაზღვრელია ცნებები: „პროფესიული სპორტული შეჯიბრები“ და გავლენა „კონკურენციის დარღვევის გზით“. პრაქტიკაში გამოიძიება, სავარაუდოდ, ბუნდესლიგის ფეხბურთსა და სხვა მაღალი დონის შეჯიბრებზე იქნება კონცენტრირებული.

IV. კაპიტალის ბაზრის სისხლის სამართალი (2002, 2016)

ინსაიდერული ვაჭრობისა და ბაზრის მანიპულაციებისგან ყოვლისმომცველი დაცვა ამჟამად ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის კანონის²⁹ სისხლისსამართლებრივი და ჯარიმის დამდგენი ნორმებითაა შემოთავაზებული. აღნიშნული ნორმები „მუდმივი სამშენებლო მოედანია“, რომელშიც კანონმდებელი განსაკუთრებით აქტიური 2000 წელს Dotcom-Blase-ის, 2007 წლიდან 2009 წლამდე მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და 2010 წლიდან 2013 წლამდე ევროკრიზისის შემდეგ იყო.

ფქმკ-ის ძალაში შესვლამდე, კერძოდ, 1994 წლის პირველ აგვისტომდე, ინსაიდერული დარღვევები არასაკმარისად იყო სანქცირებული. იმჟამინდელი ფქმკ-ის 38-ე და 39-ე პარაგრაფებისთვის ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა 1989 წლის 13 ნოემბრის 89/592/EWG ევროპული დირექტივა. 2002 წლის 21 ივნისის ფინანსური ბაზრის ხელშეწყობის მეოთხე

კანონმა³⁰ 2003/6/EG³¹ დირექტივის მოთხოვნებამდე წინსწრებით შემოიღო ახალი შემადგენლობები ფქმკ-ის 38-ე და 39-ე პარაგრაფებში, რათა საბაზრო მანიპულაციები პროპორციულად ყოფილიყო სანქცირებული.

მნიშვნელოვანი სიახლეები და გამკაცრება გამოიწვია ევროკავშირის 2014 წლის 16 აპრილის Nr. 596/2014 დადგენილებამ ბაზრის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით³² და 2014 წლის 16 აპრილის 2014/57/EU დირექტივამ ბაზრის მანიპულაციების სისხლისსამართლებრივი სანქციების შესახებ³³, რომლითაც MAD I გაუქმდა. მათ აღსრულებას ემსახურებოდა როგორც 2016 წლის 30 ივნისის ფინანსური ბაზრის ცვლილების პირველი კანონი,³⁴ ისე 2017 წლის 23 ივნისის ფინანსური ბაზრის ცვლილების მეორე კანონი.³⁵ შედეგად, სანქციის შესაძლებლობები, რომლებიც ჯერ კიდევ ფქმკ-ის 119-ე და შემდგომი პარაგრაფებით რეგულირდებოდა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. აქედან მოყოლებული, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატალოგი დაახლოებით 400 (!) შემადგენლობას შეიცავს, რაც ნათლად აჩვენებს, რომ ეს სფერო ჭარბად რეგულირებულია. ამასთან, კანონით მოცულ საწარმოებს დარღვევის შემთხვევაში დრაკონული ჯარიმები ემუქრებათ, რაც მათთვის არსებობაზე უარის თქმის საფუძველიც შეიძლება გახდეს.

კომპლექსური რეგულაციების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ კანონმდებელმა ფბცპკ-ში რედაქციული შეცდომა დაუშვა, რამაც, გავრცელებული მოსაზრების თანახმად,³⁶ სისხლის

³⁰ BGBl. I, 2002, S. 2010.

³¹ Market Abuse Directive – შემდგომ შემოკლებულია, როგორც MAD I.

³² ABI. EU 2014, L 173, S. 1. Market Abuse Regulation – შემდგომ შემოკლებულია, როგორც MAR.

³³ Market Abuse Directive II – MAD II.

³⁴ BGBl. I, 2016, S. 1514. შემდგომ შემოკლებულია, როგორც ფბცპკ.

³⁵ BGBl. I, 2017, S. 1693.

³⁶ *Bülte, Jens/Müller, Nadja*, NZG (Neue Zeitschrift für Gesellschaftsrecht) 2017, 205, 206 ff.; *Gaede, Karsten*, wistra (Zeitschrift für Wirtschafts- und Steuerstrafrecht) 2017, 41, 50; *Möllers, Thomas M. J./Herz, Pirmin*, JZ (Juristenzeitung) 2017, 445, 446 ff.; *Szesny, André-M.*, BB (Betriebs Berater) 2017, 515, 518; *Schäuble, Johannes*, ZWH (Zeitschrift für Wirtschaftsstrafrecht und Haftung im Unternehmen) 2018, 251, 252.

²⁷ BT-Drs. 18/8831, S. 10.

²⁸ *Nuzinger, Thomas/Rübenstahl, Markus/Bittmann, Folker*, WJ (Journal der Wirtschaftsstrafrechtlichen Vereinigung) 2016, 34, 34 ff.; *Stam, Fabian*, NZWiSt 2018, 41, 47 f.

²⁹ შემდგომ შემოკლებულია, როგორც ფქმკ.

სამართალში კაპიტალის ბაზრის „გენერალური ამ-
ნისტია“ გამოიწვია. ფბცკ-ის მეშვეობით, ფქმკ-ის
ცვლილება 2016 წლის 2 ივლისს შევიდა ძალაში,
ამის საპირისპიროდ, MAR-ის ამკრძალავი წესები,
რომლებიც ფქმკ-ის 119-ე და 120-ე პარაგრაფებ-
თან იყო დაკავშირებული – 2016 წლის 3 ივლისს.
შესაბამისად, 24 საათის განმავლობაში თავისუ-
ფალი სივრცე არსებობდა. გერმანიის ფედერა-
ლურმა სასამართლომ 2017 წლის 10 იანვარს³⁷
უარყო სანქციის ხარვეზის არსებობა: გერმანელი
კანონმდებლის ნებიდან აშკარა უნდა ყოფილიყო,
რომ მისი მიზანი იყო ევროკავშირის ნორმები,
მიუხედავად მათი უშუალო გამოყენებადობისა,
ეროვნულ სამართალშიც ნორმის სახით შემოელო,
რათა უხარვეზო სანქცირებისთვის მიეღწია. ცხარე
დისკუსია დაასრულა გერმანიის ფედერალურმა
საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც გერ-
მანიის ფედერალური სასამართლოს განმარტება
2018 წლის 3 მაისს³⁸ „კონსტიტუციურსამართლებ-
რივი თვალსაზრისით უპრობლემოდ“ მიიჩნია. გერ-
მანიის უმაღლესი სასამართლოების წყალობით, კა-
ნონმდებელი კიდევ ერთხელ „ლურჯი თვალებით“
გადარჩა. სხვა შემთხვევაში, ამ შეცდომას სერიო-
ზული შედეგები ექნებოდა.

V. „ოქროს მოწმის“ რეგულაცია (2009, 2013)

2009 წლის 29 ივლისის „სისხლის სამართლის კო-
დექსის ცვლილების 43-ე კანონით – დანაშაულის
გახსნასა და პრევენციაში დახმარებისას სასჯელის
ზომის განსაზღვრის შესახებ“³⁹, 2009 წლის პირ-
ველი სექტემბრისთვის გსსკ-ის 46b პარაგრაფში
შემოღებულ იქნა „ოქროს მოწმის“ ზოგადი (დიდი)
რეგულაცია. სისხლის სამართალი მანამდე უკვე
იცნობდა დარგობრივად სპეციფიკური „ოქროს
მოწმის“ (მცირე) რეგულაციებს. აღნიშნულის შე-
მოღება გულისხმობდა პარადიგმის ცვლილებას,
ვინაიდან „ოქროს მოწმის“ რეგულაციასთან მიმარ-
თებით, მკაცრი დათქმა დამკვიდრდა (და დღემდე
არსებობს).⁴⁰ აქედან მოყოლებული, გსსკ-ის 46b-ე

პარაგრაფით გათვალისწინებული სასჯელის გან-
საზღვრის ზოგადი წესები მაშინ გამოიყენება, თუ
დანაშაულის ამსრულებელი, რომელსაც თავი-
სუფლების აღკვეთის მინიმალურ ვადაზე მეტი ან
უფადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, იმ გა-
რემოების შესახებ გაამუშავებს ინფორმაციას,
რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეი-
ტანოს მძიმე დანაშაულის გახსნაში ან ასეთი დანა-
შაულის თავიდან აცილებაში. ამ შემთხვევაში სასა-
მართლო უფლებამოსილია, შეამციროს სასჯელის
ზომა ან გადაუხვიოს მას. დამატებით, მიღებულ
იქნა დაცვითი ღონისძიებები, კერძოდ, შეიზღუდა
გსსკ-ის 46b-ე პარაგრაფის დროში გამოყენების
ფარგლები, რადგან ჩვენების მიცემა საქმის არსე-
ბით განხილვამდე უნდა მოხდეს. ამასთან, გაფა-
რთოვდა ცრუ ცნობების მიწოდების (§§ 145d, 164
გსსკ) დასჯადობა. თუმცა ეს წესი არ მოქმედებს
ავტომატურად – მოსამართლემ უნდა აწონ-დაწონ-
ოს, ჩვენების გამოყენება და მისი მეშვეობით გახ-
სნილი ან თავიდან აცილებული დანაშაულის სიმ-
ძიმე რამდენად ამართლებს ოქროს მოწმისთვის
შელავათის მინიჭებას.

4 ნელზე ნაკლები ხნის შემდეგ, 2013 წლის 10
ივნისის სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილე-
ბის 46-ე კანონით⁴¹, რომელიც 2013 წლის პირველ
აგვისტოს შევიდა ძალაში, სასჯელის შემცირების
შესაძლებლობა შეიზღუდა. მანამდე შეცდომად
შეფასდა ის ფაქტი, რომ გსსკ-ის 46b-ე პარაგრაფი
მაშინ გამოიყენება, როდესაც არ არსებობს მიზე-
ზობრივი კავშირი ოქროს მოწმის დანაშაულსა და
იმ დანაშაულს შორის, რომლის გახსნას ან პრე-
ვენციასაც იგი ემსახურება.⁴² შესაძლო შეღავათის
თვალსაზრისით, აღნიშნული მეტისმეტად ფართოდ
შეფასდა,⁴³ რადგან სრულიად სხვა დანაშაულთან
დაკავშირებული ჩვენება უშუალოდ არ ამცირებს
ბრალს. ამის შემდგომ, დანაშაულებს შორის უნდა
არსებობდეს „მიზეზობრივი კავშირი“. ამდენად,
ცხადი ხდება, რომ გსსკ-ის 46b-ე პარაგრაფი სას-
ჯელის განსაზღვრის წესის ნორმის, გსსკ-ის 46-ე
პარაგრაფის დაკონკრეტებასა და სრულყოფას

³⁷ BGHSt 62, 13 = BGH NJW 2017, 966.

³⁸ BVerfG NJW 2018, 3091.

³⁹ BGBl. I, 2009, S. 2288.

⁴⁰ იხ. მხოლოდ v. Heintschel-Heinegg, Bernd, in: v.

Heintschel-Heinegg, Bernd (Hrsg.), Beck'scher Online-
Kommentar, Strafgesetzbuch, 55. Ed., Stand: 01.11.2022,
§ 46b Rn. 4.

⁴¹ BGBl. I, 2013, S. 1497.

⁴² BGHSt 55, 153 = BGH NJW 2010, 2741.

⁴³ BT-Drs. 17/9695, S. 6.

ემსახურება. შედეგად, მოთხოვნილი მიზეზობრივი კავშირი, კანონმდებლის შეხედულებით, არსებობს მაშინ, როდესაც ორ დანაშაულს შორის შიდა და შინაარსობრივი კავშირია და ისინი „საერთო დანაშაულებრივი მოვლენის“ ნაწილია.⁴⁴

VI. თვითმკვლელობის კომერციული ხელშეწყობა

ფუნდამენტურად ახალი სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომლის მიღებამ და შემდგომ გაუქმებამ დიდი საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო, გსსკ-ის 217-ე პარაგრაფი იყო. ნორმა მიღებულ იქნა ინტენსიური დისკუსიების შემდეგ, 2015 წლის 10 დეკემბერს⁴⁵ და დაძლია მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ევთანაზიის სფეროს რეგულაციებს მოიცავდა. გსსკ-ის 217-ე პარაგრაფი 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით ემუქრებოდა ყველას, ვინც სხვისი სუიციდის ხელშეწყობის განზრახვით, „კომერციული“ საფუძვლით, უზრუნველყოფდა, ქმნიდა ან შუამავლობდა ამის შესაძლებლობას. ოჯახის წევრები ან ახლობლები, რომლებიც არ მოქმედებდნენ კომერციული ინტერესებით, დაუსჯელი რჩებოდნენ. ამით კანონმდებელს სურდა, თავიდან აეცილებინა გაერთიანებების მიერ კომერციულ სუიციდში დახმარებისთვის შესაბამისი შეთავაზებების გავრცელება. მიზანი მიღწეულ იქნა, ვინაიდან კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, გაერთიანებებმა ძირითადად შეწყვიტეს მათი საქმიანობა გერმანიაში. სისხლის სამართლის მეცნიერებაში გსსკ-ის 217-ე პარაგრაფმა მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა.⁴⁶ საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში, სისხლის სამართლის დაახლოებით 150-მა გერმანელმა ლექტორმა ძალზე კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა.⁴⁷ ახალი სისხლისსამარ-

თლებრივი ნორმის წინააღმდეგ კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა არაერთმა გაერთიანებამ და იმ ადამიანებმა, რომელთაც სუიციდში დახმარე გაერთიანებების მომსახურების მიღება სურდათ. მოსარჩელებს აგრეთვე მიეკუთვნებოდნენ ექიმები, რომლებიც შიშობდნენ, რომ პალიატიური სამედიცინო მომსახურების განვითარების სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას ჩაიდენდნენ, ასევე ადვოკატები, რომლებიც სუიციდთან დაკავშირებულ სფეროში რჩევებს გასცემდნენ.

2020 წლის 26 თებერვალს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა გსსკ-ის 217-ე პარაგრაფი. მისი განმარტებით, კონსტიტუციურსამართლებრივად გარანტირებული ზოგადი პიროვნული უფლება (ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცი, პირველი მუხლის პირველ აბზაცთან კავშირში) მოიცავს სიკვდილზე თვითგამორკვევის უფლებას. ინდივიდის გადაწყვეტილება, მისი ცხოვრება დაასრულოს, არის პიროვნების ავტონომიური განვითარების იდეის უშუალო გამოვლინება, რომელიც თანდაყოლილია ადამიანის ღირსებისთვის და პატივისცემას მოითხოვს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. უფლება თვითმკვლელობაზე აგრეთვე მოიცავს მესამე პირებისგან დახმარების ძიების თავისუფლებას. თუმცა გსსკ-ის 217-ე პარაგრაფი თვითმკვლელობაში დახმარებას მეტწილად შეუძლებელს ხდიდა. კომერციული შეთავაზების გარეშე, ინდივიდი დამოკიდებული იქნებოდა ექიმის მზაობაზე, ნივთიერებების გამოწერის შედეგად განებორციელებინა თვითმკვლელობაში დახმარება. თუმცა, ამგვარი მზაობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არსებობს. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის ნორმა ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების შეხედულებას, რომელშიც ადამიანის ღირსება ღირებულებითი წესრიგის ცენტრში ექცევა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ბოლოს აღნიშნა, რომ კანონმდებელს არ ეკრძალება, სუიციდში დახმარება დაარეგულიროს, თუმცა ეს უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის, როგორც სულიერ-მორალური არსების იდეას, რომელიც იმგვარადაა შექმნილი, რომ თავისუფლება თავად განსაზღვროს.

სასამართლოს გადაწყვეტილებამ ინტენსიური დისკუსია გამოიწვია. მკაცრი კრიტიკა გამოთქვეს გერმანელი ეპისკოპოსების კონფერენციამ

⁴⁴ BT-Drs. 17/9695, S. 7.

⁴⁵ Gesetz zur Strafbarkeit der geschäftsmäßigen Förderung der Selbsttötung, BGBl. I, 2015, S. 2177.

⁴⁶ Duttge, Gunnar, NJW 2016, 120, 120 ff.; Gaede, Karsten, medstra 2016, 65, 65 f.; Hillenkamp, Thomas, KriPoZ (Kriminalpolitische Zeitschrift) 2016, 3, 3 ff.; Roxin, Claus, NSTZ 2016, 185, 192; Weigend, Thomas/Hoven, Elisa, ZIS (Zeitschrift für Internationale Strafrechtswissenschaft) 2016, 681, 691.

⁴⁷ Hilgendorf, Eric/Rosenau, Henning, medstra 2015, 129, 129 ff.

და ევანგელური ეკლესიის საბჭომ.⁴⁸ 2021 წლის 21 აპრილს ბუნდესტაგში გაიმართა საორიენტაციო დებატები,⁴⁹ რომელშიც 3 კანონპროექტი და ძირითადი საკითხების მომცველი დოკუმენტი (Eckpunktepapier) იქნა განხილული. 2022 წლის დასაწყისში სხვადასხვა ფრაქციისგან შემდგარმა ჯგუფმა „თვითმკვლევლობაში კომერციული დახმარების დასჯადობისა და თვითმკვლევლობის შესახებ გადაწყვეტილების თავისუფალი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონპროექტი⁵⁰ წარმოადგინა. მათ „სტრუქტურირებული და დაბალანსებული დაცვის კონცეფციით“ სურდათ, დასჯადი გამხდარიყო როგორც თვითმკვლევლობაში კომერციული დახმარება (§ 217 გსსკ), ისე მისი რეკლამა (§ 217a გსსკ). 2022 წლის 24 ივნისს ბუნდესტაგმა განიხილა აღნიშნული კანონპროექტი, 2 სხვა კანონპროექტი და სხვადასხვა ფრაქციის ჯგუფური მიმართვა. დებატების დასრულების შემდეგ, ყველა ინიციატივა წამყვან – იურიდიულ კომიტეტს გადაეგზავნა.⁵¹

VII. ქონების სისხლისსამართლებრივი ჩამორთმევა

2017 წლის 13 აპრილის კანონი „ქონების სისხლისსამართლებრივი ჩამორთმევის რეფორმის შესახებ“,⁵² სავარაუდოდ, გასული ათწლეულის ყველაზე დიდი პრაქტიკული შედეგების მქონე რეფორმაა. მისი შესვლით, 2017 წლის პირველი ივლისისთვის რეფორმირდა „კონფისკაცია“ (Verfall) (73-ე და შემდგომი პარაგრაფები, გსსკ-ის ძველი რედაქცია), რომელიც ახლა იწოდება როგორც „დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ჩამორთმევა“. მიზეზი ის იყო, რომ ადრე მოქმედი სამართალი გაურკვეველი და საეჭვო კითხვებით იყო დატვირთული და ქონების ჩამორთმევის ფუნქციებს ვერ უზრუნველყოფდა. პირველ რიგში, ნაკლოვანი იყო დაზარალებულის კომპენსაცია. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნისას ქონების ჩამორთმევა გამორიცხული იყო და ამაზე თავად დაზარალებულს უნდა ეზრუნა. მართალია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას დროებით შეეძლო აქტივების დაცვა, თუმცა ქრონიკული გადატვირთულობის გამო, ეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იყო შესაძლებელი.

რეფორმის ბირთვია დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაცია. ზიანის ანაზღაურების ახალი მოდელით (§§ 73 გსსკ და შემდგომი პარაგრაფები) დაზარალებულმა მარტივად და უფასოდ უნდა მიიღოს ზიანის ანაზღაურება. კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ახლა უკვე სასამართლოს მთავარ სხდომაზე ხდება. დაზარალებულის მოთხოვნები კმაყოფილდება სასჯელის აღსრულების პროცესში (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 459g-ე და შემდგომი პარაგრაფები), სადაც ყველა დაზარალებული თანაბარ მოპყრობას უნდა დაექვემდებაროს. კონფისკაციისგან (Verfall) განსხვავებით, რა დროსაც მიღებული ქონება მთლიანად იყო ხელმისაწვდომი (ბრუტოს პრინციპი), ამჟამად მიღებული ქონების დადგენა 2 ეტაპად ხორციელდება: პირველ ეტაპზე ქონება ობიექტურად ფასდება, ხოლო მეორე ეტაპზე მიღებული ქონების ფარგლები ან ოდენობა განისაზღვრება, რომელშიც საპასუხო შესრულება და სხვა ხარჯები იქვითება⁵³ (შესუსტებული ბრუტოს პრინციპი). ამას გარდა, კომერციულ ან ჯგუფურად ჩადენილ დელიქტებთან დაკავშირებით, აღმოიფხვრა ე.წ. „განვრცობითი კონფისკაციის“ გამოყენების შეზღუდვის ფარგლები. ამჟამად, დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების „განვრცობითი ჩამორთმევა“ (§ 73a გსსკ) ყველა უკანონო ქმედებისთვის არის გათვალისწინებული. ამასთან, შესაძლებელია ქონების შემდგომი ჩამორთმევა (§ 76 გსსკ). და ბოლოს, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის სფეროსთვის შეიქმნა ინსტრუმენტი, რომლითაც დანაშაულის შედეგად წარმოშობილი ქონება კონკრეტულ დანაშაულზე მტკიცების გარეშე შეიძლება იქნეს ჩამორთმეული (გსსკ-ის 76-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცი).

აღნიშნულმა ფუნდამენტურმა რეფორმამ მრავალგზის დაიმსახურა მოწონება, რადგან მისი შესვლით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ცნება დეტალიზებული გახდა, ხოლო დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაცია გამარტი-

⁴⁸ იხ. <https://www.vaticannews.va/de/kirche/news/2020-02/deutschland-kirchen-kritik-karlsruhe-urteil-suizidbeihilfe-recht.html> [ბოლოს ნანახია 28.02.2023].

⁴⁹ იხ. <https://www.bundestag.de/dokumente/protokolle/amtliche-protokolle/ap19223-836962> [ბოლოს ნანახია 19.04.2023].

⁵⁰ BT-Drs. 20/904, S. 5 ff.

⁵¹ იხ. <https://www.bundestag.de/dokumente/textarchiv/2022/kw25-de-suizidhilfe-897826> [ბოლოს ნანახია 19.04.2023].

⁵² BGBl. I, 2017, S. 872.

⁵³ BT-Drs. 18/9525, S. 62.

ვდა.⁵⁴ მიუხედავად ამისა, სასჯელის აღსრულების პროცესში კომპენსაცია დაგვიანებით მიმდინარეობს.⁵⁵ ამასთან, ბრალდებულის ქონებაზე სახელმწიფოს ექსტენსიური წვდომა ნებაყოფლობით, კერძოდ, დამნაშავე-დაზარებულს შორის კომპენსაციას უშლის ხელს.⁵⁶ კონკრეტული დანაშაულის დამტკიცებისგან დამოუკიდებლად ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობა მტკიცების ტვირთის დაუშვებელ შებრუნებად და „ექვსის სანქციად“ უნდა შეფასდეს.⁵⁷

VIII. სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა, როგორც დამატებითი სისხლის სამართალი (2017)

შემდგომი სიახლე შემოიტანა 2017 წლის 17 აგვისტოს კანონმა „სისხლის სამართლის პროცესის ეფექტურად და პრაქტიკულად ორგანიზების შესახებ“,⁵⁸ რომლითაც სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვის (§ 44 გსსკ) გამოყენების სფერო 2017 წლის 24 აგვისტოსთვის მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მანამდე დამატებითი სასჯელი, 1 თვიდან 6 თვემდე ვადით, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დანიშნულიყო, როდესაც დანაშაული „სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს ან სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოვალეობების დარღვევისას“ იქნა ჩადენილი. ახალი რეგულაციის მიღების შემდგომ, გსსკ-ის 44-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვის გამოყენება ყველა დანაშაულთან მიმართებით გახდა შესაძლებელი.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვის ახალი რედაქცია, როგორც სპეციალურ-პრევენციული „გამაფრთხილებელი და რეფლექსიური სასჯელი“⁵⁹

მკაცრად იქნა გაკრიტიკებული.⁶⁰ აღნიშნულის შესაბამისად, გამოყენების არეალის მასიური გაფართოება ძირითად უფლებებში არსებით ჩარევას წარმოადგენს, რომელსაც აკლია კონკრეტული მითითებები იმის თაობაზე, როდის უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვის დაკისრება, თუ დანაშაული სატრანსპორტო საშუალების მართვასთან კავშირში არ იქნა ჩადენილი. სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვა დაექვემდებარა მოსამართლის დისკრეციას, რაც არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების პრაქტიკის საფუძველი გახდა. ამასთან, გამონაკლისები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ისეთ შემთხვევებში, რომლებშიც სატრანსპორტო საშუალების გამოყენება პროფესიული საჭიროებაა. მოსამართლეები აშკარად მიჰყვნენ გაფრთხილებას, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვის შედეგების გათვალისწინებით, შეზღუდულად ემოქმედათ,⁶¹ ვინაიდან 2012 წელს გამოყენებული 29.572 სატრანსპორტო საშუალების მართვის აკრძალვიდან მხოლოდ 5.672 (19,2 %) აკრძალვა ეხებოდა საგზაო მოძრაობის მიღმა დანაშაულებს.⁶²

IX. გსსკ-ის 219a პარაგრაფის გაუქმება – აბორტის რეკლამა (2022)

დეკრიმინალიზაციამ გამოიწვია გსსკ-ის 219a-ე პარაგრაფის გაუქმება, რომელიც მანამდე აბორტისთვის სასჯელს ითვალისწინებდა. აღნიშნული აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რომელსაც აბორტების კომერციალიზაციის თავიდან აცილება სურდა,⁶³ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით ან ჯარიმას. გაუქმების მიზეზი გახდა ექიმის შემთხვევა, რომელიც ორსულ ქალებს სთავაზობდა აბორტის გაკეთებას და საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით ინფორმაციას აწვდიდა მის მიერ გამოყენებული მეთოდების შესახებ. ამისათვის 2017 წლის ნოემბერში გისენის საქალაქო სასამართლომ ექიმს მსჯავრი დააკის-

⁵⁴ იხ. მხოლოდ *Trüg, Gerson, NJW* 2017, 1913, 1918.

⁵⁵ *Heim, Maximilian, NJW-Spezial* 2017, 248.

⁵⁶ *Köllner, Rolf E./Mück, Jörg, NZI (Neue Zeitschrift für Insolvenz- und Sanierungsrecht)* 2017, 593, 598.

⁵⁷ *Trüg, Gerson, NJW* 2017, 1913, 1916.

⁵⁸ BGBl. I, 2017, S. 3202.

⁵⁹ v. *Heintschel-Heinegg, Bernd*, in: v. *Heintschel-Heinegg, Bernd* (Hrsg.), *Beck'scher Online-Kommentar, Strafgesetzbuch*, 55. Ed., Stand: 01.11.2022, § 44 Rn. 1.

⁶⁰ იხ. მხოლოდ *Zopfs, Jan, DAR-Extra (Deutsches Auto-recht)* 2017, 737, 737 ff.

⁶¹ *Schöch, Heinz, NSTZ* 2018, 15, 18.

⁶² Statistisches Bundesamt (Hrsg.), *Rechtspflege, Strafverfolgung* 2020, 2021/2022, S. 360.

⁶³ BT-Drs. 7/1981, S. 17.

რა,⁶⁴ ხოლო 2018 წლის ოქტომბერში გისენის მიწის სასამართლომ სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.⁶⁵ მსჯავრდებამ ფართო საზოგადოებრივი დისკუსია გამოიწვია.⁶⁶ სისხლის სამართლის ნორმა იყო ნაციონალ-სოციალისტური გადმონაშთი და შემოღებულ იქნა მაშინდელი სახალხო-პოლიტიკური ინტერესების გამო. მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ამ პარაგრაფის ამოღება სურდა, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ქრისტიან-სოციალური კავშირი მის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. საბოლოოდ, მაშინდელი დიდი კოალიცია (სოციალ-დემოკრატიული პარტია / ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი / ქრისტიან-სოციალური კავშირი), 2019 წლის 22 მარტის კანონით „აბორტის თაობაზე ინფორმაციის გაუმჯობესების შესახებ“,⁶⁷ კომპრომისზე წავიდა, რომლის შესაბამისადაც, რეკლამა ვინრო წინაპირობების ფარგლებში გახდა დასაშვები. მიუხედავად ამისა, შერბილება „ფარსი“ იყო. ამის შემდეგ ექიმს მაინც არ შეეძლო საჯაროდ ინფორმაციის გავრცელება იმის თაობაზე, თუ რომელ მეთოდებს სთავაზობდა პაციენტებს, არამედ მხოლოდ იმაზე მითითება, რომ აღნიშნულ ინფორმაციას ფედერაციის ან მიწის უფლებამოსილი ორგანოები, საკონსულტაციო ცენტრი ან ექიმთა ასოციაცია⁶⁸ ფლობდა. ეს ასევე იმიტომ იყო აბსურდული, რომ ექიმთა ფედერალური ასოციაცია ექიმების, საავადმყოფოების ან სხვა დაწესებულებების სიასთან ერთად, იქ გამოყენებულ მეთოდებს ინტერნეტში საჯაროდ ხელმისაწვდომად ათავსებდა. აქედან გამომდინარე, ამ სიახლეს მსჯავრდებული ექიმისთვის არაფერი მოუტანია. თავდაპირველი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის უკან დაბრუნების შემდეგ,⁶⁹ 2019 წლის დეკემბერში⁷⁰ გისენის მიწის სასამართლომ მხოლოდ სასჯელი შეამცირა. საკასაციო საჩივარი უარყოფილ იქნა მაინის ფრანკფურტის მიწის უმაღლესი სასა-

მართლოს მიერ 2020 წლის დეკემბერში.⁷¹ შემდგომ, 2021 წლის დეკემბერში, „შუქნიშის“ პარტიების (სოციალ-დემოკრატიული პარტია / გაერთიანება 90 / მწვანეები / თავისუფალი დემოკრატიული პარტია) კოალიციური ხელშეკრულებით გსსკ-ის 219a-ე პარაგრაფის ამოღება დაანონსდა.⁷² აღნიშნულის შესაბამისად, ბუნდესტაგმა 2022 წლის 24 ივნისს⁷³ მიიღო გადაწყვეტილება ნორმის გაუქმების შესახებ, რომელიც 2022 წლის 17 ივლისს ამოქმედდა.⁷⁴

X. გაერთიანებების სანქციონების (კვლავ წარუმატებელი) რეფორმა

ბოლოს უნდა აღინიშნოს გაერთიანებების სანქციონების „საუკუნის წარუმატებელი რეფორმა“, რომელთან დაკავშირებითაც კონტროვერსული დავა მიმდინარეობდა. კორპორაციული სისხლის სამართლის შემოღება გერმანიაში ადრიანი მე-19 საუკუნიდან განიხილება. განმანათლებლობის ეპოქაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ იურიდიული პირის დასჯადობა არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, 1871 წლის რსსკ შესაბამის სისხლის სამართლებრივ ნორმებს არ შეიცავდა. სისხლის სამართლის დიდი რეფორმის ფარგლებში, ინტენსიურად განიხილებოდა გაერთიანებების სანქციონების შემოღება. კომპრომისის სახით, 1968 წლის პირველი ოქტომბრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონში⁷⁵ შემოღებულ იქნა ნორმა (§ 26 ასკ, ამჟამად § 30 ასკ), რომელიც იურიდიული პირების⁷⁶ ან პირთა გაერთიანებების წინააღმდეგ ჯარიმის დანიშვნის შესაძლებლობას იძლეოდა.⁷⁷

⁶⁴ AG Gießen NStZ 2018, 416.

⁶⁵ LG Gießen BeckRS 2019, 40366.

⁶⁶ იხ. მხოლოდ *Frommel, Monika*, JR (Juristische Rundschau) 2018, 239, 239 ff.; *Kubiciel, Michael*, ZRP (Zeitschrift für Rechtspolitik) 2018, 13, 13 ff.

⁶⁷ BGBl. I, 2019, S. 350.

⁶⁸ ხელმისაწვდომია: <https://www.bundesaeztekammer.de/aerzte/versorgung/schwangerschaftsabbruch> [ბოლოს ნანახია 19.04.2023].

⁶⁹ OLG Frankfurt a.M. NJW-Spezial 2019, 537.

⁷⁰ LG Gießen BeckRS 2019, 40366.

⁷¹ OLG Frankfurt a.M. NStZ-RR 2021, 106.

⁷² Koalitionsvertrag 2021–2025 zwischen der Sozialdemokratischen Partei Deutschlands (SPD), Bündnis 90/Die Grünen und den Freien Demokraten (FDP), Mehr Fortschritt wagen, Bündnis für Freiheit, Gerechtigkeit und Nachhaltigkeit, Dezember 2021, S. 116.

⁷³ BR-Drs. 290/22.

⁷⁴ BGBl. I, 2022, S. 1082.

⁷⁵ შემდგომ შემოკლებულია, როგორც ასკ.

⁷⁶ საქართველოში იურიდიული პირის დასჯადობის შესახებ, რომელიც 2006 წელს იქნა შემოღებული, იხ. *ობანაშვილი, ანრი*, DGStZ 3/2021, 100-105 (ქართული ვერსია).

⁷⁷ ისტორიის შესახებ *Waßmer, Martin Paul*, in: *Hilgendorf, Eric/Kudlich, Hans/Valerius, Brian* (Hrsg.), Band 3, Strafrecht Allgemeiner Teil II, 2021, § 49 Rn. 5 ff., 21 ff.

1997 წლის ივლისში ჰესენის მიწამ წარმოადგინა სადისკუსიო წინადადება, რომელიც გსკ-ში გაერთიანებების სასჯელების შემოღებას ითვალისწინებდა.⁷⁸ 1998 წლის იანვარში მაშინდელმა სამთავრობო კოალიციამ (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი / ქრისტიან-სოციალური კავშირი / თავისუფალი დემოკრატიული პარტია) სისხლისსამართლებრივი სანქციების რეფორმებისთვის შექმნა კომისია, თუმცა იგი გაერთიანებებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამკვიდრების წინააღმდეგი აღმოჩნდა.⁷⁹ 2010-იან წლებში კვლავ გაჩაღდა დისკუსია, რადგან ამასობაში ევროკავშირის უმეტეს სახელმწიფოებში გაერთიანებების ან კორპორაციების სისხლის სამართალი შეიქმნა. 2013 წლის სექტემბერში ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინა გაერთიანებების სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი.⁸⁰ შემდგომი, მე-18 მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების პერიოდში, დიდმა კოალიციამ (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი/ქრისტიან-სოციალური კავშირი/სოციალ-დემოკრატიული პარტია) დააანონსა კორპორაციული სისხლის სამართალი,⁸¹ რომელმაც სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია.⁸² მე-19 მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების პერიოდში, ხელახლა არჩეულმა დიდმა კოალიციამ კვლავ გააგრძელა პროექტი.⁸³ 2020 წლის აპრილში წარმოდგენილ იქნა კანონის პროექტი „ეკონომიკაში ინტეგრაციის გაძლიერების შესახებ“, რომელიც არსებითად ეფუძნებოდა „გაერთიანებების სანქციების“ კანონის პროექტს.⁸⁴ თუმცა გერმანიის ფე-

დერალური მთავრობა ეფექტურად ვერ გაუმკლავდა ამასთან დაკავშირებით გამოთქმულ არაერთ კრიტიკულ მოსაზრებას. ფუნდამენტური ხასიათის წინააღმდეგობის გამო, წამყვანმა იურიდიულმა კომიტეტმა და ეკონომიკის კომიტეტმა ბუნდესრათში რეკომენდაცია გაუწიეს პროექტის უარყოფას, ვინაიდან „მთლიანი კონსტრუქცია“ „აცდენილი“ და „წარუმატებელია“.⁸⁵ ამის მიუხედავად, გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ პროექტი თითქმის უცვლელად შეიტანა ბუნდესთაგში.⁸⁶ 2020 წლის დეკემბრის შუა პერიოდში, პროექტი ეკონომიკური ხასიათის კითხვის ნიშნების გამო, საბოლოოდ შეჩერდა, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ მან სისხლის სამართლის მეცნიერებასა და ადვოკატურაში ძალიან მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა.⁸⁷

შინაარსობრივად, გასაკვირი არ არის „გაერთიანებების სანქციების“ კანონის წარუმატებლობა, რადგან ის არათუ ამცირებდა მოქმედი სამართლის ნაკლოვანებას, რომელიც კორპორაციის დანაშაულთან ბრძოლის სტრუქტურის, გამოყენებისა და აღსრულების ძირში არსებობს, არამედ იმავდროულად არსებითად ახალ ხარვეზებს წარმოშობდა. კრიტიკას იმსახურებს „გაერთიანებების სანქციების“ კანონის სათაური. ის გვთავაზობს, რომ არ შეიძლება შემოღებულ იქნეს კრიმინალური სისხლის სამართალი. თუმცა ეს არის „ყალბი ეტიკეტი“, რომელმაც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინააღმდეგ დოგმატური დათქმები უნდა გაითვალისწინოს, რადგან სინამდვილეში გაერთიანებების სანქციების კანონს ცალსახად კრიმინალურ-სისხლისსამართლებრივი ხასიათი ჰქონდა. ძალზე მგრძობიარე „გაერთიანებების სანქციების“ (§ 8 გსკპ) ბრალზე დამოკიდებული უნდა ყოფილიყო, ჰქონოდა, როგორც რეპრესიული, ისე პრევენციული ხასიათი; „სანქციების სამართალწარმოებაში“ (§ 23 გსკპ და შემდგომი პარაგრაფები), კანონიერების პრინციპის შესაბამისად, ბრალდება პროკურატურას უნდა წარედგინა, ხოლო სანქცია სისხლის სამართლის სასამართლოს დაეკისრებინა და სანქციების რეესტრში

⁷⁸ ამასთან დაკავშირებით *Wegner, Carsten*, ZRP 1999, 186, 187 f.

⁷⁹ Auszug aus dem Abschlussbericht der Kommission: Einführung einer Verbandsstrafe (Strafbarkeit juristischer Personen), in: *Hettinger, Michael* (Hrsg.), Reform des Sanktionenrechts, Band 3: Verbandsstrafe, 2002, S. 351, 354 ff.

⁸⁰ ამასთან დაკავშირებით, იხ. მხოლოდ *Jahn, Matthias/Pietsch, Franziska*, ZIS 2015, 1, 1 ff.

⁸¹ Koalitionsvertrag zwischen CDU/CSU und SPD, Deutschlands Zukunft gestalten, 18. Legislaturperiode, Dezember 2013, S. 101.

⁸² იხ. მხოლოდ *Schünemann, Bernd*, ZIS 2014, 7, 18.

⁸³ Koalitionsvertrag zwischen CDU, CSU und SPD, Ein neuer Aufbruch für Europa – Eine neue Dynamik für Deutschland – Ein neuer Zusammenhalt für unser Land, März 2018, S. 126.

⁸⁴ შემდგომ შემოკლებულია, როგორც გსკპ.

⁸⁵ BR-Drs. 440/1/20, S. 1.

⁸⁶ BT-Drs. 19/23568, S. 7 ff.

⁸⁷ იხ. მხოლოდ die umfangreiche Stellungnahme zum Regierungsentwurf des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz eines „Gesetzes zur Verstärkung der Integrität der Wirtschaft“ von Mitgliedern der Wirtschaftsstrafrechtlichen Vereinigung (WisteV), WiJ 2020, 117-166.

შეეტანა (§§ 54 გსკპ და შემდგომი პარაგრაფები). ამას გარდა, გაკრიტიკებულ იქნა პასუხისმგებლობის კონცეფცია. როგორც მოქმედი ასკ-ის 30-ე პარაგრაფი, გაერთიანებების სანქციონების კანონი უნდა ეფუძნებოდეს ე.წ. „შერაცხვის მოდელს“, რომელშიც ადამიანის ბრალეული ქმედება გაერთიანებას საკუთარ ქმედებად შეერაცხება. გაერთიანების სახელით მოქმედების შედეგად, ფიზიკური პირის ბრალს ენიჭება კოლექტიური მნიშვნელობა, რომელიც „გაერთიანების ბრალის“ ფორმით არის ნორმატიულად განერილი. მიუხედავად ამისა, კანონპროექტი ბევრად სცილდებოდა არსებულ სამართალს, რადგან გაერთიანებას არა მხოლოდ ხელმძღვანელი პირების, არამედ „არახელმძღვანელი“ პირების ბრალიც შეერაცხებოდა (§ 3 აბზაცი 1 გსკპ). ეს გამოიწვევდა მკაცრ პასუხისმგებლობას,⁸⁸ რომელიც ამერიკული სამართლის სუბსიდიური პასუხისმგებლობის (vicarious liability) მოდელს ეფუძნება, თუმცა გერმანულ სამართალში ბრალის პრინციპის დარღვევად უნდა შეფასდეს: ვინაიდან გაერთიანება მხოლოდ მისი ხელმძღვანელი პირების მიერ იმართება, გაერთიანებას მხოლოდ მათი ბრალი უნდა შეერაცხოს, როგორც საკუთარი.

რამდენადაც კორპორაციული დანაშაულის შეჩერების შესაძლებლობამ არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის ინსტრუმენტებით ლიმიტს მიაღწია, კანონმდებელი ისევ უნდა გააქტიურდეს. რჩება იმედი, რომ გსკპ ფუნდამენტურად გადამუშავდება და კონსტიტუციურ საფუძვლებთან შესაბამისი იქნება.

XI. დასკვნა

გერმანელი კანონმდებელი გასული ორი ათწლეულის განმავლობაში, ძალზე აქტიურობდა, რაც გამოწვეული იყო საერთაშორისო და ევროპული შეთანხმებებით (მაგალითად, კორუფციასთან დაკავშირებით), ევროკავშირის სამართლებრივი აქტებით (მაგალითად, ინსაიდერული ვაჭრობა და ბაზრის ბოროტად გამოყენება) და მოვლენათა განვითარებით, რომლებიც საზოგადოებრივად საშიშად იქნა აღქმული (მაგალითად, თვითმკვლელობის კომერციული ხელშეწყობა). ზოგჯერ ხდებოდა დასჯადობის იმ ხარვეზების გამორიცხვა, რომლებიც გე-

რმანიის ფედერალური სასამართლოს მიერ უარყოფითად იყო შეფასებული (მაგალითად, კორუფცია ჯანდაცვის სფეროში). ამას გარდა, კანონმდებელმა გაითვალისწინა პრაქტიკული მოთხოვნები (ოქროს მონმის რეგულაცია), განახორციელა ნაკლოვანი რეგულაციების რეფორმა (ქონების ჩამორთმევა) ან ჰქონდა რეფორმის მცდელობა (გაერთიანებების სანქციონება). ის გარემოება, რომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გსკ-ის 217-ე პარაგრაფი გააუქმა, უკვე იმაზე მიუთითებს, რომ კანონმდებელი თავის მიზანს ნაწილობრივ გასცდა და მეტად პრობლემური ნორმები შექმნა. სხვა მხრივ, უნდა დაფიქსირდეს, რომ თანამედროვე გერმანული სისხლის სამართალი მეტწილად გამკაცრების ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, საყურადღებოა პროცესში სისხლის სამართლის მეცნიერების არასაკმარისი მონაწილეობა, რასაც ძალიან ნათლად აჩვენებს გაერთიანებების სანქციონების შემოღების წარუმატებლობა. ახალი კანონით უნდა ჩამოყალიბებულიყო გადამეტებულად მკაცრი (და საბოლოოდ არაკონსტიტუციური) გაერთიანებების სანქციონება, ნაცვლად იმისა, რომ მოქმედი სამართლის ნაკლოვანებები სამეცნიერო ექსპერტიზით მოგვარებულიყო. სასურველია, რომ სამომავლოდ სისხლის სამართლის მეცნიერება საკანონმდებლო პროცესში უფრო ინტენსიურად ჩაერთოს, რადგან კანონპროექტების დეტალური განხილვით თავიდან იქნება აცილებული განმარტებისა და გამოყენების სირთულეები, რაც გაზრდის სამართლებრივ უსაფრთხოებას და ამასთან, განტვირთავს მართლმსაჯულებას.

ამის საპირისპიროდ, სირთულეები ჰქონდა ლიბერალურ ტენდენციებს. (არასწორ) განვითარებებზე თანამედროვე გერმანელი კანონმდებელი აქციონისტურად, ახალი სისხლისსამართლებრივი ნორმებით ან არსებულის გამკაცრებით რეაგირებს. ამის შედეგად, მოხდა სახელმწიფოს „ბასრი მახვილის“ ინსტრუმენტალიზაცია. დროისთვის შეუსაბამო სისხლისსამართლებრივი ნორმების დაძლევა, როგორც ეს 1998 წელს სსრმკ-ის მეშვეობით მოხდა – პირიქით, ნაკლებად პოპულარულია და ამგვარი შემსუბუქების ამომრჩველისთვის ახსნა აშკარად რთულია. ამის საპირისპიროდ, დეკრიმინალიზაციის არსებითი იმპულსები გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოდიოდა, რომელმაც, მაგალითად, თვითმკვლელობაში დახმარების სფეროში კონსტიტუციურსა-

⁸⁸ შეად. მხოლოდ *Eggers, Tobias*, BB 2019, 3010, 3011.

მართლებრივად გარანტირებული ზოგადი პიროვნული უფლება გსსკ-ის 217-ე პარაგრაფის მოქმედების დაძლევის გზით უზრუნველყო. აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა, სავარაუდოდ, ასევე გავლენას მოახდენს მსხვერპლის თხოვნით მკვლელობაზე (§ 216 გსსკ). ამას გარდა, საზოგადოებრივ დისკუსიებს შეუძლია „ნმენდის“ პროცესი გამოინვიოს, რასაც გსსკ-ის 219a-ე პარაგრაფის მაგალითი აჩვენებს. მოსალოდნელია, რომ „შუქნიშნის კოალიცია“ სხვა გეგმებსაც შეასრულებს. კოალიციურ ხელშეკრულებაში მან, მათ შორის, კომისიის შექმნა დააანონსა, რომელიც „აბორტის სისხლის სამართლის კოდექსის მიღმა რეგულირების, ასევე, კვერცხუჯრედის დონაციისა და ალტრუისტული სუროგაციის ლეგალიზაციის შესაძლებლობას გადასინჯავს“.⁸⁹ ამ სფეროში საზოგადოების შეცვლილი შეხედულებები და მედიცინის პროგრესი კი ლიბერალური რეფორმების სასარგებლოდ მეტყველებს.

⁸⁹ Koalitionsvertrag 2021–2025 zwischen der Sozialdemokratischen Partei Deutschlands (SPD), Bündnis 90/Die Grünen und den Freien Demokraten (FDP), Mehr Fortschritt wagen, Bündnis für Freiheit, Gerechtigkeit und Nachhaltigkeit, 2021, S. 92.

ცრუ ჩვენება, როგორც ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. **გიორგი თუმანიშვილი LL.M.** (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

გამომდინარე ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებიდან, რომლებიც განმტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტსა (1966) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში (1950), სადავო არ არის ის, რომ ბრალდებულს მისთვის მინიჭებული დაცვის უფლების ფარგლებში, მათ შორის შეუძლია ისარგებლოს დუმის უფლებითა და თვითგათქმისგან დაცვის პრივილეგიით. თუმცა, კითხვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეუძლია ბრალდებულს იცრუოს საკუთარი თავის დასაცავად, ან თუ რა პროცესუალურ-მატერიალურ სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოყვეს ბრალდებულის სიცრუეს, და თუ რამდენად აქვს ბრალდებულს, როგორც პროცესის ძირითად სუბიექტსა და მხარეს სიმართლის თქმის ვალდებულება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2021 წლის 28 დეკემბრის (N3/2/1478) გადაწყვეტილებაში¹ იმსჯელა, თუ რამდენად იცავს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4² და მე-11³ პუნქტები ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის სასარგებლოდ ცრუ ჩვენების მიცემის შესაძლებლობას.⁴ საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებულს არ გააჩნია ცრუ ჩვენების კონსტიტუციური უფლება და შესაბამისად, სამართლებრივი სისტემა, რომელიც ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის შესაძლებლობას ითვალისწინებს, მხოლოდ სიმართლის თქმის პირობით არ ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებულ ნორმებით გარანტირებულ უფლებებს.⁵ ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ცალკეულ შემთხვევებში არ გამორიცხავს ბრალდებულისთვის ცრუ ჩვენების გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.⁶ შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებელია იქნეს იმგვარად გაგებული, რომ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულმა უნდა გააკეთოს არჩევანი დუმის უფლებით სარგებლობასა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის პირობებში საკუთარი თავის დასაცავად ჩვენების მიცემას შორის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, წინამდებარე სტატია წარმოადგენს მცდელობას, შეაფასოს სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის ჩვენების მტკიცებულებითი მნიშვნელობა და განავითაროს მსჯელობა ცრუ ჩვენების გამო ბრალდებულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობისა და საჭიროების თაობაზე.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე: „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“.

² „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მონმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მონმეებს“.

³ „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა სანინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით“.

⁴ აღნიშნულ საქმეზე კონსტიტუციური წარდგინების ავტორი მიიჩნევს, რომ ბრალდებულს ჩვენების მიცემის შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს ცრუ ჩვენების მიცე-

მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის გარეშე.

⁵ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე: „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, II-26.

⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე: „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, II – 25.

II. ბრალდებულის ჩვენების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში

ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში გააჩნია ორმაგი ფუნქცია. იგი გვევლინება არა მხოლოდ პროცესის აქტიურ სუბიექტად და მხარედ, იგი ამავდროულად წარმოადგენს მტკიცებულებასაც ვინრო და ფართო გაგებით. ვინრო გაგებით მტკიცებულებაა ბრალდებულის ჩვენება (სსსკ-ის 74-ე მუხლი), ხოლო ფართო გაგებით მტკიცებულებას წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შედეგად ბრალდებულის სხეულიდან მიღებული სხვადასხვა ნიმუშები (მაგ. სისხლის, ნერწყვის, თმის ღერის, თითის ანაბეჭდის ნიმუშები).⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ტერმინი „მონმე“ მოიაზრებს ასევე ბრალდებულსაც, რომელიც იძლევა ჩვენებას საკუთარი თავის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. მონმის სტატუსით დაკითხვის გზით, ბრალდებულს ეძლევა იმის შესაძლებლობა, სასამართლოს წინაშე წარადგინოს მოვლენათა განვითარების თავისი ვერსია, საკუთარი პოზიციის ხელშემწყობი ან/და ბრალდების მხარის არგუმენტაციის გამაბათილებელი მტკიცებულებები, დაიცვას საკუთარი თავი და გავლენა იქონიოს საქმის მიმდინარეობის პროცესსა და საბოლოო შედეგზე.⁸ ამასთან აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის ჩვენებას, ისევე როგორც სხვა მტკიცებულებებს სისხლის სამართლის პროცესში სსსკ-ის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და მას ვერ მიენიჭება გადაჭარბებული მნიშვნელობა.

სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მონმის სტატუსით სარგებლობს, მისი უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება, მათ შორის, ბრალდებულს და ასევე სსსკ-ის 48-ე მუხლი, როგორც სხვა მონმების შემთხვევაში, ითვალისწინებს ჩვენების მიცემამდე ბრალდებულის სავალდებულო ფიცის დადებასა და მის ცრუ ჩვენების მიცემისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილების ვალდებულებას. მიუხედავად ასეთი ჩა-

ნანერისა, ბრალდებული თავისი პროცესუალური სტატუსიდან გამომდინარე, ჩვენების მიცემისას არ შეიძლება გავაიგივოთ სხვა მონმებთან. სწორედ ამიტომ, სსსკ-ის 74-ე მუხლი მკაფიოდ მიჯნავს ბრალდებულის ჩვენებას მონმის ჩვენებისგან და სხვა მონმებისგან განსხვავებულად განიხილავს ბრალდებულის ქცევას ჩვენების მიცემისას. განსხვავებით სხვა მონმებისგან, ბრალდებულს გააჩნია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგია, რამდენადაც ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა (სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი ჩვენების მიცემასა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმას შორის.⁹ ბრალდებული ნებაყოფლობით მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში, როგორც მონმე, როდესაც სხვა პირებს (თუ არ ჩავთვლით სსსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ კონკრეტულ გამოწვევებს) ასეთი არჩევანის უფლებას კანონი არ ანიჭებს. პირი მხარის ინიციატივით ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში ჩვენების მისაცემად და უპასუხოს მათ შეკითხვებს. ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ჩვენების მიცემის პროცესი, რისი უფლებაც მონმეს არ აქვს და ასეთის შემთხვევაში ამ უკანასკნელს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

რამდენადაც სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლე მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დადგინდეს, სისხლის პროცესუალური თუ მატერიალურ-სამართლებრივი მექანიზმებით უზრუნველყოფილია მხარეთა მიერ სასამართლოში უტყუარი მტკიცებულებების წარდგენისა და წარდგენილი მტკიცებულებების სანდოობის შემოწმების შესაძლებლობა. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია მონმის ჩვენება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მონმის ჩვენების მნიშვნელობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში მონმის ჩვენება ერთ-ერთი ძირითადი, ცალკეულ შემთხვევებში კი, გადამწყვეტი მტკიცებულებაა. მონმის ჩვენების მოპოვებაზე არსებითად არის დამოკიდებული დანაშაულის ჩამდენი პირის იდენტიფიცირება, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების

⁷ თუმანიშვილი, გიორგი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, 2014, გვ. 206-207.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე: „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, II-8.

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე: „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, II-13.

ჩატარება, დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებების (დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დრო, ადგილი, მიზანი, მოტივი და სხვ.) გამოკვეთა – დადასტურება ან უარყოფა და, საბოლოოდ, სისხლის სამართლის საქმის სწორად წარმართვა. ამგვარად, სისხლის სამართლის პროცესში, მოწმის ჩვენება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების საფუძველს წარმოადგენს.¹⁰ სწორედ ამიტომ, მოწმეს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც ჩვენების მიცემაზე უარის (სსკ-ის 371-ე მუხლი), ისე ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში (სსკ-ის 370-ე მუხლი). კანონმდებელი სსკ-ის 370-ე და 371-ე მუხლებზე დაყრდნობით მატერიალურ-სამართლებრივად უზრუნველყოფს მოწმისგან სანდო ჩვენების მიღებასა და სიმართლის დადგენას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ამავე კონტექსტში განიხილავს ბრალდებულის ჩვენების მნიშვნელობასაც და აღნიშნავს, რომ მათ შორის, ბრალდებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სასამართლო ცდილობს, შექმნას დანაშაულთან დაკავშირებული სურათი, ჩამოიყალიბოს შინაგანი რწმენა პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე და უზრუნველყოს საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისას ფიცის დადების სავალდებულო პროცედურა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გაფრთხილება ემსახურება, მათ შორის, სწორედ ბრალდებულის მოწმის მხრიდან სასამართლოსათვის მხოლოდ სიმართლის შემცველი ინფორმაციის მიწოდებისა და, ამ გზით, ჩვენების სანდოობის სამართლებრივ უზრუნველყოფას. სწორედ მოწმის (ბრალდებულის მოწმის) მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის გათვალისწინებული შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების რისკი, მნიშვნელოვანწილად, განაპირობებს მისი ჩვენების სანდო-

ობას. გარდა ამისა, სასამართლო განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმის შედეგისადმი პირადი ინტერესის გამო, ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემა შეზღუდულია მტკიცებულებების სანდოობის უზრუნველყოფი გარანტიებით, როგორებიც არის ფიცი ან ფიცის შემცველი დადასტურება, ისევე, როგორც ცრუ ჩვენებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.¹¹ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცრუ ჩვენებად და როგორი უნდა იყოს ცრუ ჩვენების დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დამფუძნებელი ელემენტები ან ცალკეული გარემოებები.¹²

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ბრალდებულის-მოწმის ჩვენების სანდოობის უზრუნველყოფას ხსნის მართლმსაჯულების ინტერესებით. თუმცა, საკითხავია, რამდენად არის საჭირო ბრალდებულის-მოწმის ჩვენების სანდოობის სისხლის მატერიალურ-სამართლებრივი მექანიზმებით უზრუნველყოფა. ამგვარი უზრუნველყოფა საჭიროა მაშინ, როდესაც მტკიცებულებას სიმართლის დასადგენად მაღალი ღირებულება აქვს და იგი მტკიცების პროცესში დიდ როლს თამაშობს, როდესაც ასეთ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული სიმართლისა და სამართლიანი განაჩენის დადგენა. ამ მხრივ, სისხლის სამართლის პროცესში შეუძლებელია ბრალდებულის ჩვენებას სიმართლის დადგენისა და მართლმსაჯულების ინტერესებისთვის იგივენაირი მნიშვნელობა მიენიჭოს, როგორც სხვა მოწმეთა ჩვენებას.¹³ იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს აქვს დუმილისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, ბრალდებულის ჩვენება, როგორც მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში არის სტრუქტურულად უმნიშვნელო,

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე: „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, II-17.

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე: „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, II-18-20.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის N3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე: „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, II – 25.

¹³ იხ. *Wąsek, Andrzej*, Zur Frage des Rechts des Angeklagten auf Lüge, In: *Festschrift für Nishihara zum 70. Geburtstag*, Eser, Albin (Hrsg.), 1998, S. 298.

რაც იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულის ჩვენება სისხლის სამართლის პროცესში არ არის გათვალისწინებული სიმართლის დადგენის საშუალებად.¹⁴ როდესაც ბრალდებული ნებაყოფლობით იკითხება როგორც მოწმე, იგი ამ შემთხვევაში სარგებლობს მინიჭებული პროცესუალური უფლებით და უპირველესყოფლისა საკუთარი თავის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, აწვდის ინფორმაციას სასამართლოს ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე და გამოხატავს საკუთარ პოზიციას სხვა მტკიცებულებებთან დაკავშირებით.¹⁵ ბრალდებულს საკუთარი ჩვენებით შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და ცალკეული მტკიცებულებების სანდოობის შეფასებას. სხვა მხრივ, სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენის ფუნქცია ბრალდებულის ჩვენებას არ გააჩნია. აღნიშნული არ უნდა იქნეს ისე გაგებული, რომ ბრალდებულის ჩვენება მოსამართლემ მოწმის ჩვენებასთან შედარებით ნაკლებად სანდოდ უნდა მიიჩნიოს.¹⁶ ეჭვგარეშეა, და გასაზიარებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ბრალდებულის ჩვენება, როგორც სხვა დანარჩენი მტკიცებულებები, შესაძლებელია საფუძვლად დაედოს სასამართლოს განაჩენს და დაექვემდებაროს მოსამართლის მხრიდან შეფასებას. მიუხედავად ამისა, ბრალდებულის ჩვენება თავისი ფუნქციით და სიმართლის დადგენის მიზნებისთვის არსებითად განსხვავდება სხვა მტკიცებულებებისგან. სასამართლომ სიმართლის დადგენა სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მაშინაც უნდა მოახერხოს, როდესაც ბრალდებული იყენებს დუმილის უფლებას, ან საერთოდ იგი თავს არიდებს მართლმსაჯულებას და არ ცხადდება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. ბრალდების მხარემ, რომელსაც მტკიცების ტვირთი აკისრია, მან

ბრალდებულის მხრიდან აქტიური თანამშრომლობისა და მისი მოწმის სახით მონაწილეობის გარეშეც უნდა შეძლოს მისთვის ბრალის დამტკიცება.¹⁷ სწორედ ამიტომ, რამდენადაც ჩვენების მიცემა პროცესუალურ-სამართლებრივად დამოკიდებულია მხოლოდ ბრალდებულის ნებაზე, შესაბამისად, ვერ იარსებებს და არც არსებობს ბრალდებულის ჩვენების მტკიცებულებად წარდგენის უზრუნველყოფი მატერიალურ-სამართლებრივი მექანიზმები და ბრალდებულს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ვერ დაეკისრება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საკუთარი პროცესუალური უფლებით სარგებლობისთვის.¹⁸ მსგავსად ამისა, თუკი ბრალდებულის ჩვენება, როგორც მტკიცებულება სიმართლის დადგენისთვის სისხლის სამართლის პროცესში სტრუქტურულად უმნიშვნელოა, მაშინ სრულიად გაუმართლებელია სიმართლის დადგენის მიზნებისთვის ისეთი მატერიალურ-სამართლებრივი გარანტიის არსებობა¹⁹, როგორცაა ცრუ ჩვენების გამო ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემა.

მაშასადამე, ბრალდებულის ჩვენება სისხლის სამართლის პროცესში ფუნქციონალურად განსხვავდება მოწმის ჩვენებისგან. განსხვავებით მოწმის ჩვენებისგან, ბრალდებულის ჩვენება უფრო მეტად არის მისთვის წარდგენილი ბრალდებისგან ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის დაცვის ინსტრუმენტი, ვიდრე საქმეზე სიმართლის დადგენის საშუალება. ვინაიდან, პროცესუალურ-სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფუნქციონალური განსხვავება არსებობს ბრალდებულისა და მოწმის ჩვენებებს შორის, აღნიშნული საჭიროებს აგრეთვე არსებითად განსხვავებულ სისხლის მატერიალურ-სამართლებრივ შეფასებას.

¹⁴ Fezer, Gerhard, Hat der Beschuldigte ein "Recht auf Lüge"?, In: Festschrift für Walter Stree und Johannes Wessels zum 70. Geburtstag, Küper, Wilfried und Welp, Jürgen (Hrsg.), 1993, S. 669;

¹⁵ იხ. ასევე Nüse, Karl Heinz, Alsberg, Max, Meyer, Karlheinz, Der Beweisanspruch im Strafprozess, 5. Aufl., 1883, S. 167.

¹⁶ იხ. ასევე Bosch, Nikolaus, Aspekte des Nemo-Tenetur-Prinzips aus verfassungsrechtlicher und strafprozessualer Sicht, Ein Beitrag zur funktionsorientierten Auslegung des Grundsatzes „nemo tenetur se ipsum accusare“, 1998, S. 189.

¹⁷ Höra, Knut, Wahrheitspflicht und Schweigebefugnis des Beschuldigten, 1970, S. 73.

¹⁸ იხ. ასევე Fezer, Gerhard, Hat der Beschuldigte ein "Recht auf Lüge"?, In: Festschrift für Walter Stree und Johannes Wessels zum 70. Geburtstag, Küper, Wilfried und Welp, Jürgen (Hrsg.), 1993, S. 677;

¹⁹ იხ. Fezer, Gerhard, Hat der Beschuldigte ein "Recht auf Lüge"?, In: Festschrift für Walter Stree und Johannes Wessels zum 70. Geburtstag, Küper, Wilfried und Welp, Jürgen (Hrsg.), 1993, S. 669.

III. ბრალდებულის სიცრუის სისხლის საპროცესო და მატერიალურსამართლებრივი შეფასება

ინკვიზიციური პროცესის პირობებში, 17-19 საუკუნეებში ბრალდებულს გააჩნდა სიმართლის თქმის ვალდებულება, რომლის დარღვევისთვისაც მას ეკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.²⁰ ამასთან, ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას ჰქონდა სამართლებრივად და პრაქტიკულად განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან იგი იმდროინდელი მტკიცებითი სამართლის მიხედვით, განიხილებოდა ძირითად მტკიცებულებად.²¹ შესაბამისად, კანონი ითხოვდა ბრალდებულისგან მხოლოდ სიმართლეს და აიძულებდა კიდევ მას დანაშაულის აღიარებას. რეფორმირებულ და თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის აღიარების ვალდებულება ბრალდებულს ბუნებრივია აღარ აქვს და ამასთან, დაუშვებელია ასევე ბრალდებულის იძულება ჩვენების მისაცემად. გარდა ამისა, აღარ არსებობს ფორმალური მტკიცების პროცესი და მტკიცებულებებს აღარ აქვთ წინასწარ დადგენილი ძალა. შესაბამისად, თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში ფორმალური მტკიცების პროცესზე და ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებაზე უარის თქმით, დაკარგა ბრალდებულმა საკუთარი თავის წინააღმდეგ მტკიცებულების ფუნქცია.²² ამიტომ, აღარც იმის სამართლებრივი საჭიროება აღარ არსებობს, რომ ბრალდებულს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემისთვის. დღევანდელ პირობებში მოსაზრებას, რომ ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში სიმართლის თქმის ვალდებულება გააჩნია, იურიდიულ ლიტერატურაში მხოლოდ ერთეული ავტო-

რები თუ უჭერენ მხარს. ისიც, რომ ბრალდებულს აქვს ცრუ ჩვენების მიცემის უფლება, წარმოადგენს მხოლოდ უმცირესობის პოზიციას. გაბატონებული მოსაზრება უარყოფს, როგორც ბრალდებულის სიმართლის თქმის ვალდებულებას, ისე მისთვის ტყუილის თქმის უფლების მინიჭებას.²³

რამდენადაც, სსსკ-ის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილი უკრძალავს მოსამართლეს ბრალდებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტის ბრალდებულის საზიანოდ შეფასებას, საკითხავია მისი მატერიალურ-სისხლისსამართლებრივი შეფასების შესაძლებლობა; თუკი ბრალდებულის მიერ ტყუილის თქმა პროცესუალურ-სამართლებრივ შედეგებთან არ არის დაკავშირებული, ბრალდებულის ასეთი ქცევა რატომ უნდა მოექცეს მატერიალურ-სამართლებრივი შეფასების ქვეშ და მოყვეს მას მატერიალურ-სისხლისსამართლებრივი შედეგები? რამდენად არის მართებული ერთი და იგივე ქმედების პროცესუალურად და მატერიალურ-სამართლებრივად განსხვავებულად შეფასება? არასწორია სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამართლებრივად აკრძალო ისეთი ქმედება, რასაც პროცესუალურ-სამართლებრივად ნეგატიური შედეგები არ მოსდევს.²⁴ ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბრალდებულს არ აქვს სიმართლის დადგენის პროცესში საკუთარი წვლილის შეტანის ვალდებულება. როგორც აღინიშნა, ბრალდების მხარემ და სასამართლომ სიმართლის დადგენა მაშინაც უნდა შეძლოს, როდესაც ბრალდებული დანაშაულის ჩადენის ფაქტს უარყოფს. სამოსამართლეო სამართალსა და იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულის უარყოფა წარმოადგენს ბრალდებულის უფლებასა და საკუთარი თავის დაცვის კანონიერ ხერხს.²⁵ ისევე როგორც დუმილი, ბრალდებულის მიერ დანაშაულის უარყოფაც არის ამ უკანასკნელ-

²⁰ Plöger, Rainer, Die Mitwirkungspflichten des Beschuldigten im deutschen Strafverfahren von den Anfängen im germanischen Rechtsgang bis zum Ende des gemeinen Inquisitionsprozesses, 1982, S. 220.

²¹ Schmidt, Eberhard, Einführung in die Geschichte der deutschen Strafrechtspflege, 3. Auflage, 1995, S. 90; Sellert, Wolfgang, Rüping, Hinrich, Studien- und Quellenbuch zur Geschichte der deutschen Strafrechtspflege, 1. Band, 1989, S.268.

²² იხ. ასევე Fezer, Gerhard, Hat der Beschuldigte ein "Recht auf Lüge"?, In: Festschrift für Walter Stree und Johannes Wessels zum 70. Geburtstag, Küper, Wilfried und Welp, Jürgen (Hrsg.), 1993, S. 667.

²³ Fezer, Gerhard, Hat der Beschuldigte ein "Recht auf Lüge"?, In: Festschrift für Walter Stree und Johannes Wessels zum 70. Geburtstag, Küper, Wilfried und Welp, Jürgen (Hrsg.), 1993, S. 663-664.

²⁴ Müller, Henning Ernst, Falsche Zeugenaussage und Beteiligungsslehre, 2000, S.213.

²⁵ Torka, Ronald, Nachtatverhalten und Nemo tenetur Eine Untersuchung über die Grenzen »zulässiger Verteidigung« und die Relevanz des Nemo-tenetur-Prinzips bei der Strafzumessung selbstbegünstigenden Nachtatverhaltens gem. § 46 Abs. 2 StGB, 2000, S. 246.

ლის დაცვის უფლების ნაწილი. ამიტომ, როდესაც ჩვენების მიცემისას ბრალდებული ცრუობს, რომ იგი არ ყოფილა დანაშაულის შემთხვევის ადგილზე და ან დანაშაული არ ჩაუდენია, ამგვარი ქმედებით იგი თავს იცავს წარდგენილი ბრალდებისგან და ცდილობს საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას, რაც თავისი არსით ასევე ნიშნავს იმასაც, რომ ბრალდებულს არ სურს საკუთარი თავის საზიანოდ ნვლილი შეიტანოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენაში. დანაშაულის ჩადენის უარყოფა ბრალდებულის დუმილისგან განსხვავებულად არ უნდა შეფასდეს, რამდენადაც ბრალდებული არ წარმოადგენს სიმართლის დადგენის გარანტს.²⁶ თუკი ვაღიარებთ ბრალდებულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, როდესაც იგი ჩვენების მიცემისას დანაშაულში მის მონაწილეობასთან დაკავშირებით ცრუობს და უარყოფს გარკვეულ ფაქტებს, მაშინ აღნიშნული იქნებოდა ბრალდებულის დაცვის უფლებაში ჩარევა. ამიტომაც, სისხლის სამართლის პროცესში სიმართლის დადგენა, ასევე სისხლის სამართლის პროცესის მიზნების რეალიზაცია ვერ იქნება ბრალდებულის ცრუ ჩვენებისგან დაცული²⁷ და არასწორია ცრუ ჩვენების უმართლობაზე საუბარი, როდესაც ბრალდებული ჩვენებას იძლევა მის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში. თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ბრალდებულს არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიცრუისთვის. ბრალდებულის ნებადართული დაცვის შესაძლებლობები მთავრდება და იწყება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი თავისი ჩვენებით ზიანს აყენებს სხვის სამართლებრივ სიკეთეს.²⁸ ასეთ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ ცრუ დასმენა (სსკ-ის 373-ე მუხლი), რომელიც წარმოადგენს ცრუ ჩვენების კერძო შემთხვევას. ბრალდებულის დაცვის უფლება არ მოიაზრებს სხვისი სამართლებრივი

სიკეთის ხელყოფის შესაძლებლობას. როდესაც ბრალდებული ჩვენების მიცემისას ცრუდ დაასმენს სხვას დანაშაულში და ამით შეეცდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას, იგი ზიანს აყენებს არა მხოლოდ სიმართლის დადგენის ინტერესს, არამედ სხვის სამართლებრივ სიკეთესაც. ეჭვგარეშეა, რომ ბრალდებულის დაცვის ყველა ხერხი ვერ დარჩება დაუსჯელი (მაგ. მტკიცებულებების განადგურება – სსკ-ის 368-ე მუხლი, ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მონმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე – სსკ-ის 372-ე მუხლი და სხვა.) ამიტომ, ასეთი ქმედებისთვის ბრალდებულისთვის ნეგატიური მატერიალური სისხლისსამართლებრივი შედეგები სრულიად მისაღები და გამართლებულია.²⁹ სხვა შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული დაკითხვის დროს სხვას ცრუდ არ ასმენს დანაშაულის ჩადენაში და იგი მხოლოდ ცრუობს დანაშაულში საკუთარ მონაწილეობასთან დაკავშირებით, ასეთი ქცევა არ უნდა შეფასდეს ბრალდებულის საზიანოდ და არც ნეგატიური მატერიალურ სისხლისსამართლებრივი შედეგები არ უნდა მოყვეს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებულს ვაიძულებთ, რომ არჩევანი გააკეთოს დუმილსა და თავის სასარგებლოდ ჩვენების მიცემას შორის.³⁰ ბრალდებულს უნდა გააჩნდეს ამასთან დაკავშირებით არჩევანის თავისუფლება და ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავება არ უნდა მოუწიოს მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის გამო. ისევე როგორც, მიუღებელია ბრალდებულის ჩვენების შინაარსისათვის გარკვეული მოთხოვნების დადგენა.³¹ მისი ჩვენების ის შინაარსი, რომელიც ეხება ცრუ ფაქტებს ბუნებრივია არ გამოდგება სიმართლის დასადგენად, თუმცა ბრალდებულის მიერ ჩვენებისას გაკეთებული განმარტებები, რომლის უტყუარობაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, მოსამართლის მიერ უნდა იქნეს მტკიცებულებათა შეფასებისას

²⁶ Müller, Henning Ernst, Falsche Zeugenaussage und Beteiligungsslehre, 2000, S. 216.

²⁷ Fezer, Gerhard, Hat der Beschuldigte ein "Recht auf Lüge"? In: Festschrift für Walter Stree und Johannes Wesels zum 70. Geburtstag, Küper, Wilfried und Welp, Jürgen (Hrsg.), 1993, S. 677.

²⁸ Schneider, Hartmut, Grund und Grenzen des strafrechtlichen Selbstbegünstigungsprinzips, 1991, S. 236.

²⁹ იხ. ასევე Rieß, Peter, Die Vernehmung des Beschuldigten im Strafprozess, JA, 1980, S. 297.

³⁰ იხ. ასევე ნიპარიშვილი, ბადრი, არჩევანი ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემისა და დუმილის უფლებებს შორის, მართლმსაჯულება და კანონი N1, 2020, 13-14.

³¹ Bosch, Nikolaus, Aspekte des Nemo-Tenetur-Prinzips aus verfassungsrechtlicher und strafprozessualer Sicht, Ein Beitrag zur funktionsorientierten Auslegung des Grundsatzes „nemo tenetur seipsum accusare“, 1998, S. 190.

და ფაქტობრივი გარემოებათა დადგენისას გათვალისწინებული. შესაბამისად, ბრალდებულის მიერ დაკითხვისას ნათქვამმა ტყუილმა არ უნდა გააუვარგოს მისი ჩვენების მთლიანი შინაარსი და გამოირიცხოს ბრალდებულის ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება.³²

ის, რომ ბრალდებული საკუთარი თავის დაცვის მიზნით მიცემული ცრუ ჩვენების გამო არ უნდა მოელოდეს ნეგატიურ პროცესუალურ და მატერიალურ სისხლისსამართლებრივ შედეგებს, ეს აიხსნება მისთვის მინიჭებული ჩვენების მიცემის თავისუფლებითა და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიით. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანი არა მხოლოდ ჩვენების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, არამედ, მისი ჩვენების შინაარსთან დაკავშირებითაც. როდესაც იგი ჩვენების მიცემას გადაწყვეტს, იგი არ კარგავს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას, იგი ამ შემთხვევაში უბრალოდ უარს ამბობს ასევე თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიით მინიჭებულ დუმილის უფლებაზე.³³ თვითგათქმისგან დაცვის უფლების შინაარსი არსებითად შეიზღუდებოდა, თუკი მასში მხოლოდ ბრალდებულისთვის დუმილისა და წარდგენილი ბრალდების მიმართ პასიურად დარჩენის შესაძლებლობა იქნებოდა მოაზრებული.³⁴ შესაბამისად, თვითგათქმისგან დაცვის პრივილეგიით უზრუნველყოფილი ჩვენების მიცემის თავისუფლება მოიაზრებს აგრეთვე პოზიტიურ გამოხატვის თავისუფლებასაც, რაც თავისთავად ჩვენების შინაარსის თავისუფლებასაც გულისხმობს.³⁵ ამიტომ, ბრალდებულის დაკითხვისას არ შეიძლება მისი იძულება, რომ თქვას სიმართლე და ისაუბროს ისეთ გარემოებებზე, რაც მას დანაშაულში ამხელს. არ უნდა არსებობდეს იმისი მოლოდინი, რომ ბრალდე-

ბული მისცემს სრულფასოვან ჩვენებას და ხელს შეუწყობს საკუთარი თავის საზიანოდ სიმართლის დადგენას. მოსაზრება, თითქოს ბრალდებულს შეუძლია დუმდეს, მაგრამ როდესაც ჩვენებას იძლევა, არ უნდა იცრუოს, არის დრომოჭმული ინკვიზიციური (ფორმალური) პროცესის გადმონაშთი, წინააღმდეგობრივი და ამასთან იგი უგულებელყოფს თვითგადარჩენის ადამიანურ ინსტიქტს.³⁶

IV. დასკვნა

ამრიგად, ზემოხსენებულმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ პრაქტიკაში არ უნდა შექმნას ცრუ ჩვენების გამო ბრალდებულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების რისკები. თანამედროვე სისხლის სამართალში სსკ-ის 370-ე მუხლის მიზანი ვერ იქნება მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა ბრალდებულის ცრუ ჩვენებისგან, რამდენადაც ბრალდებული ჩვენებას იძლევა არა სიმართლის დადგენის და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების რეალიზაციის, არამედ წარდგენილი ბრალდებისგან საკუთარი თავის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, ბრალდებულისთვის მინიჭებული თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიით უზრუნველყოფილია, როგორც ჩვენების მიცემის, ისე მისი ჩვენების შინაარსის თავისუფლებაც. ამიტომ, როდესაც ბრალდებული ჩვენების მიცემისას ბრალდებას უარყოფს და ცრუობს ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, იგი ამ დროს მოქმედებს დაცვის უფლების ფარგლებში და არ ჩადის დანაშაულს. ამავდროულად, ბრალდებულის ჩვენების შინაარსის თავისუფლება არ მოიაზრებს ბრალდებულის მხრიდან სხვისი დასმენის თავისუფლებასაც და ამ შემთხვევაში, მას შესაძლებელია დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 373-ე მუხლის შესაბამისად.

³² Puppe, Ingeborg, List im Verhör des Beschuldigten, GA, 1978, S. 305.

³³ Ransiek, Andreas, Belehrung über Aussagefreiheit und Recht der Verteidigerkonsultation: Folgerungen für die Beschuldigtenvernehmung, StV, 1994, S. 345.

³⁴ Bosch, Nikolaus, Aspekte des Nemo-Tenetur-Prinzips aus verfassungsrechtlicher und strafprozessualer Sicht, Ein Beitrag zur funktionsorientierten Auslegung des Grundsatzes „nemo tenetur seipsum accusare“, 1998, S. 190.

³⁵ Bosch, Nikolaus, Aspekte des Nemo-Tenetur-Prinzips aus verfassungsrechtlicher und strafprozessualer Sicht, Ein Beitrag zur funktionsorientierten Auslegung des Grundsatzes „nemo tenetur seipsum accusare“, 1998, S. 193.

³⁶ Maurach, Reinhart, Beihilfe zum Meineid durch Unterlassung, DStR, 1944, S. 10.

წამება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (EGMR)

2010 წლის პირველი ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *გეფგენი გერმანიის*

წინააღმდეგ (Nr. 22978/05)**

მეცნიერ-თანამშრომელი *სელინ ოსვალდი*, თიუბინგენის უნივერსიტეტი***

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2003 წლის 28 ივლისს გერმანიის მოქალაქე მაგნუს გეფგენს (მაინის) ფრანკფურტის ფედერალური მიწის სასამართლომ მიუსაჯა უფადო თავისუფლების აღკვეთა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისა და გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანის გატაცებისთვის.¹ სასამართლომ დაადგინა ბრალის განსაკუთრებული სიმძიმე. გეფგენმა გაიტაცა და 2002 წლის 27 სექტემბერს მოკლა 11 წლის ბიჭი, მდიდარი ბანკირის ოჯახის უმცროსი შვილი და მშობლებისგან გამოსასყიდის სახით ითხოვდა ერთი მილიონი ევროს გადახდას. ამასთან, იგი იტყუებოდა, თითქოს ბავშვი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. გამოსასყიდის გადაცემის შემდეგ პოლიციამ გეფგენის დაკავება შეძლო.

დაკავების შემდეგ, 2002 წლის 1 ოქტომბერს, გეფგენის დაკითხვისას პოლიციის თანამშრომელი დაემუქრა ეჭვმიტანილს აუტანელი ფიზიკური ტკივილის მიყენებით, თუ იგი კვლავ გააგრძელებდა დუმის ბავშვის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით. პოლიციელი აღნიშნულ შემთხვევაში ფრანკფურტის პოლიციის ვიცე-პრეზიდენტის

მითითებებით მოქმედებდა. არსებობდა საშიშროება იმისა, რომ ბავშვი საკვების ნაკლებობისა და სიცივის გამო სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუმცა ამ დროისათვის გეფგენს ბავშვი უკვე მოკლული ჰყავდა, ხოლო გვამი დამალული, რის შესახებაც პოლიციამ არ იცოდა. მუქარამ აიძულა გეფგენი, გაემხილა მოკლული ბავშვის ადგილსამყოფელი. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ბავშვის გვამის აღმოჩენა. ასევე, შესაძლებელი გახდა ისეთი მტკიცებულებების ადგილზე მოპოვება და დამაგრება, როგორცაა იმ სატრანსპორტო საშუალების საბურავების ტრასოლოგიური კვალი, რომლითაც მოხდა გვამის ტრანსპორტირება. პროკურორის მიერ ჩატარებული მომდევნო დაკითხვის დროს, ისევე როგორც საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, გეფგენი კვლავ აღიარებდა დანაშაულს. აღსანიშნავია, რომ საქმის არსებითი განხილვისას გეფგენს მიეცა კვალიფიციური განმარტება იმის შესახებ, რომ მის მიერ მანამდე მიცემული ჩვენებები, მათ შორის, აღიარებითი ჩვენებები, არ შეიძლებოდა სისხლის სამართლის საქმეში გამოყენებულიყო. ამის მიუხედავად, გეფგენმა აქაც გაიმეორა მისი აღიარებითი ჩვენება. მიწის სასამართლოს განაჩენის გერმანიის ფედერალურ სასამართლოსა (BGH)² და გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში (BVerfG)³ წარუმატებელი გასაჩივრების შემდეგ, გეფგენმა 2005 წლის 15 ივნისს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა ინდივიდუალური საჩივრით, რომლითაც იგი ასაჩივრებდა ადამიანის

* სტატია გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრმა, *მაკა ხოდელმა*.

** <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-99015> (ბოლოს ნანახია 10.04.2023); შემოკლებულად გამოქვეყნებულია ჟურნალში NJW (Neue Juristische Wochenschrift) 2010, 3145.

*** ავტორი არის სტაჟიორი თიუბინგენის სასამართლოში და მეცნიერ-თანამშრომელი პროფ. ბერნდ ჰაინრიხის სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლისა და საავტორო უფლებების კათედრაზე თიუბინგენის უნივერსიტეტში.

¹ LG Frankfurt a.M., Urteil v. 28.7.2003 – 5/22 Ks 2/03 3490 Js 230118/02 (juris).

² BGH BeckRS (Beck-Rechtsprechungssammlung) 2011, 16172.

³ BVerfG NJW 2008, 1060, 1061.

უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების დარღვევას.

2004 წლის 20 დეკემბერს მუქარის განმარტების პოლიციელი მაინის ფრანკფურტის სასამართლომ დამნაშავედ ცნო იძულებისთვის, ხოლო მისი ხელმძღვანელი პირი ამ დანაშაულის ნაქეზებისთვის და ორივე მათგანს სასჯელის სახით განუსაზღვრა ჯარიმა.⁴

II. პრობლემის დასმა

წინამდებარე საქმე შეეხება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად წამებისა და მისი სამართლებრივი მოწესრიგების პრობლემას. ამასთან, გასათვალისწინებელია ამ საკითხის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ასპექტები.

1. მატერიალურსამართლებრივი ასპექტები

ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად წამების ცნებასთან მიმართებაში ზოგადად მოიაზრება მუქარა ან ფიზიკური ძალის გამოყენება, რათა აიძულონ პირი გასცეს ადგილსამყოფლის შესახებ ან სხვა ტიპის ინფორმაცია სხვა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.⁵ წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, წამება მაშინაა სახეზე, როდესაც საჯარო მოხელეები მოქმედებენ მოვალეობის შესრულებისას. კერძო პირების შემთხვევაში კი, წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დეფინიციის შესაბამისად, მუქარა ან ძალის გამოყენება არ ჩაითვლება წამებად.⁶

მუქარის განხორციელება გარკვეული ტკივილის მიყენებით არის დასჯადი, როგორც იძულება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის შესაბამისად. გარდა ამისა, გეფგენის შემთხვევაში სახეზე იქნებოდა განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებულია გერმანიის სსკ-ის 240-ე პა-

რაგრაფის მე-4 აბზაცის პირველი პუნქტით, რადგან პოლიციის მუშაკებმა მათი სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენეს. თუმცა შესაძლებელი იქნებოდა სსკ-ის 32-ე პარაგრაფით (აუცილებელი დახმარება) ან 34-ე პარაგრაფით (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა) გათვალისწინებული გამამართლებელი საფუძვლის გამოყენება მუქარის განმარტების პოლიციელების სასარგებლოდ, რასაც შესაძლოა საბოლოოდ მათი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება მოჰყოლოდა შედეგად. ამასთან დაკავშირებით დაისმის შემდეგი შეკითხვა: შეიძლება კი საერთოდ ამ პირებზე გავრცელდეს სისხლისსამართლებრივი გამამართლებელი საფუძვლები ანდა განისაზღვრება თუ არა მათი უფლებამოსილება მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების რეგულაციების შესაბამისად.⁷ მაშინაც კი, თუკი გავიზიარებთ სამართლებრივ დასკვნებს⁸, რომელთა მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი გამამართლებელი საფუძვლები, პირველ რიგში, მოქმედებს კერძო პირის მიმართ, მაგრამ ასევე გამოიყენება ხელი-სუფლების წარმომადგენლის მისამართითაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ იქნება გამოსადეგი ვერც აუცილებელი დახმარება (გერმანიის სსკ-ის 32-ე პარაგრაფი) და ვერც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი უკიდურესი აუცილებლობა (გერმანიის სსკ-ის 34-ე პარაგრაფი). რადგან ბავშვი უკვე გარდაცვლილი იყო, სახეზე ვერ იქნება ვერც აუცილებელი დახმარების მდგომარეობის კომპონენტი – აუცილებელი ხელყოფის იმწუთიერება და ვერც უკიდურესი აუცილებლობის კომპონენტი – იმწუთიერი საფრთხე. რადგან პოლიციის მუშაკებმა ბავშვის უკვე განხორციელებული მკვლელობის შესახებ არ იცოდნენ, განიხილება მოჩვენებითი აუცილებელი მოგერიების არსებობა, რომელიც უნდა გადაწყდეს ნებართვაში შეცდომის წესების მიხედვით. აქ შესაძლებელი იქნებოდა, გამამართლებელი საფუძვლების ფაქტობრივ წინაპირობებში შეცდომის გამო, პირი გათავისუფლებულიყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. თუმცა, თუკი ჰიპოთეტურად იარსებებდა აუცილე-

⁴ LG Frankfurt am Main NJW 2005, 692, 693.

⁵ *Engländer, Armin*, in *Matt, Holger/Renzikowski, Joachim*, StGB, 2. Aufl. 2020, § 32 Rn. 58.

⁶ ასევე *Erb, Volker*, in *Münchener Kommentar, StGB*, 4. Auflage 2020, § 32 Rn. 8.

⁷ *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 6. Aufl. 2019, Rn. 395 ff.

⁸ BGHSt 27, 260, 262; BGH NStZ (Neue Zeitschrift für Strafrecht) 2005, 31.

ბელი დახმარებისა თუ უკიდურესი აუცილებლობის გარემოება, განხორციელებული ქმედება მაინც ვერ მოექცეოდა სსკ-ის 32-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ შესაბამისობის ფარგლებში და ვერც სსკ-ის 34-ე პარაგრაფით გათვალისწინებული შესაბამისი საშუალება იქნებოდა, რადგან ეს ქმედება ეწინააღმდეგება, ყოველ შემთხვევაში გერმანიაში გაბატონებული მოსაზრებით, გერმანიის კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ აბზაცს. გერმანიის კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი ფორმულირებიდან გამომდინარე რაიმე სახის შეზღუდვას ის არ ექვემდებარება და ამ უფლებაში ჩარევა ვერ წარმოშობს გამამართლებელ საფუძველს.⁹ კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის დარღვევა აქ შესაძლოა იმაში მდგომარეობდეს, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ბრალდებული, ნამების მუქარის შედეგად, სახელმწიფოს ხელში უბრალო ობიექტად იქცევა.¹⁰ აქედან გამომდინარე, ძალადობის მუქარის განმარტოვებული პოლიციელი განსაკუთრებით მძიმე შემთხვევის გამო სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა იძულებისთვის.

2. საპროცესოსამართლებრივი ასპექტები

საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით დაისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენა ექნება მუქარას ძალის გამოყენების შესახებ სისხლის სამართლის პროცესზე. ამასთან, უნდა გაიმიჯნოს მტკიცებულებათა მოპოვებისა და მტკიცებულებათა დასაშვებობის აკრძალვას შორის. მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვისგან განსხვავებით, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი დაკავშირებულია არა უშუალოდ მტკიცებულებების აღმოჩენის საკითხთან, არამედ მათ შეფასებასთან სისხლის სამართლის პროცესში.¹¹ ამასთან, აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვა ყოველთვის არ იწვევს მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვას სისხლის სამართლის პროცესში.

ბათა გამოყენების აკრძალვას სისხლის სამართლის პროცესში.

ა) მტკიცებულებათა მოპოვება (აღმოჩენა)

მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვა თავის მხრივ იყოფა მტკიცებულებათა აკრძალვისგან გარკვეული თემების მიხედვით, მტკიცებულებათა აკრძალვისგან დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით და გარკვეულ მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვისგან. მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვა გარკვეული თემების მიხედვით სახეზეა მაშინ, როდესაც საქმის გარემოება ან ფაქტები სისხლის საპროცესო სამართლებრივი მტკიცების საგანს არ წარმოადგენს. აღნიშნულს, მაგალითად, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სისხლის სამართლის პროცესში საქმის გამოძიების ამოცანა უკან იხევს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებთან მიმართებით.¹²

გარკვეულ მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვა გამორიცხავს ცალკეული მტკიცებულებების გამოყენებას. აღნიშნულს ადგილი აქვს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოწმე კონკრეტულ შემთხვევაში იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებას, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ანდა ინფორმაციის მინოდებაზე.¹³ დაუშვებელი მეთოდების გამოყენებით მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვა მნიშვნელოვანია, რათა გარკვეული გზით მტკიცებულებების მოპოვება თავიდან იქნეს აცილებული.¹⁴ სწორედ ეს უკანასკნელი განიხილება აქ. გარკვეული თემებიდან გამომდინარე მტკიცებულებათა მოპოვების აკრძალვის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულის ნების განსაზღვრა და მისი გათვალისწინება.¹⁵ აღნიშნული არ უნდა შეიზღუდოს მისი ბოროტად გამოყენებით, სამკურნალო საშუალებების ზემოქმედების გზით, ტანჯვის მიყენებით, მოტყუებით ან ჰიპნოზით. დაკითხვის აკრძალული მეთოდების ჩამონათვალი არის მაგალითის სახით მოყვანილი და არ არის

⁹ Jarass, Hans D./Pieroth, Bodo, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 16. Auflage 2020, Art. 1 Rn. 15.

¹⁰ LG Frankfurt am Main NJW 2005, 692, 693.

¹¹ Kudlich, Hans, in Münchener Kommentar, StPO, 1. Auflage 2014, Einleitung Rn. 438.

¹² Kudlich, Hans, in Münchener Kommentar, StPO, 1. Auflage 2014, Einleitung Rn. 441.

¹³ Kudlich, Hans, in Münchener Kommentar, StPO, 1. Auflage 2014, Einleitung Rn. 445.

¹⁴ Kudlich, Hans, in Münchener Kommentar, StPO, 1. Auflage 2014, Einleitung Rn. 440 ff.

¹⁵ Diemer, Herbert, in Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung, 8 Auflage 2019, § 136a Rn. 1.

ამომწურავად დადგენილი.¹⁶ აკრძალულია, ასევე, დაუშვებელი მეთოდებით მუქარა სსსკ-ის 136a-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-3 წინადადების თანახმად. ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუკი ამას საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს (სსსკ-ის 136a-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი, მე-2 წინადადება), რადგან ბრალდებული, მოწმისაგან განსხვავებით, არ არის ვალდებული, მისცეს ჩვენება.¹⁷

პოლიციის თანამშრომლის მიერ დაკითხვისას ბრალდებულის წინააღმდეგ ძალადობის მუქარის განხორციელებით, გამოყენებულ იქნა სსსკ-ის 136a-ე პარაგრაფით აკრძალული დაკითხვის მეთოდები.¹⁸

ბ) მტკიცებულებათა დასაშვებობა

სსსკ-ის 136a-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცის დარღვევა იწვევს მტკიცებულებათა აბსოლუტურ გამორიცხვას სისხლის სამართლის საქმიდან, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისა (კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-3 აბზაცი) და ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის (კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი აბზაცი) შედეგი.¹⁹ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენებები, რომლებიც მიღებული იქნა კანონით აკრძალული დაკითხვის მეთოდების შედეგად, არ იქნება გამოყენებული (სსსკ-ის 136a-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება). მტკიცებულებათა გამოყენების აკრძალვა მოიცავს ასევე კანონის გვერდის ავლის პრევენციის შესაძლებლობას, როგორც ადრე წარმოებული დაკითხვის ოქმის წაკითხვის შემთხვევაში, ასევე, დაკითხვის მწარმოებელი პირების დაკითხვის შემთხვევაში.²⁰

განმეორებით წარმოებული დაკითხვისას ანდა არსებითი სხდომის დროს პირის მიერ ჩვენების

გამეორების შემთხვევაში გამეორებული ჩვენების შეფასება უნდა მოხდეს შესაბამისი კანონიერი წინაპირობების მხედველობაში მიღებით. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბრალდებულმა უნდა იცოდეს საკუთარი უფლების შესახებ, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია თავად გადაწყვიტოს გაიმეოროს ჩვენება, თუ გამოიყენოს დუმილის უფლება, მისცეს ახალი ჩვენება, თუ პირველადი ჩვენება სრულად დაადასტუროს.²¹ აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკა არ აღიარებს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის **განგრძობად გავლენას** მომდევნო ნებაყოფლობით ჩვენებაზე.²² ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში სავალდებულოა აღნიშნული დაკითხვა ჩატარდეს **კვალიფიციური განმარტების** შემდეგ, რათა საპროცესო სამართლებრივი კანონის დარღვევის განგრძობადი გავლენა იქნეს დაძლეული.²³ კვალიფიციური განმარტება კანონით არ არის მოწესრიგებული. ასე რომ, მისი მნიშვნელობა და მისი არ ჩატარების შესაძლო შედეგები სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე განვითარდა.²⁴ ასეთ კვალიფიციურ განმარტებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბრალდებულს ახალი დაკითხვის დაწყებისას განმარტება, რომ მის მიერ ადრე მიცემული ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმეში. თუმცა, ლიტერატურაში არსებული შეთავაზება, რომ დამკვიდრდეს კვალიფიციური განმარტების გამოყენება, სასამართლო პრაქტიკაში ყოველთვის არ ითვალისწინება. თუკი კვალიფიციური განმარტება არ გაკეთებულა, მაშინ მტკიცებულებათა გამოყენების საკითხი გადაწყდება ყოველი კონკრეტული შემთხვევის ანონ-დანონის პრინციპით.²⁵ გეფგენის შემთხვევაში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მას მიეცა კვალიფიციური განმარტება, რის შემდეგაც გეფგენმა განმეორებით მისცა აღიარებითი ჩვენება.

სისხლის სამართლის საქმიდან **მტკიცებულებათა გამორიცხვის შემდგომი გავლენა** სახეზეა

¹⁶ BGHSt 5, 322, 334; *Diemer, Herbert*, in *Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung*, 8 Auflage 2019, § 136a Rn. 9.

¹⁷ *Diemer, Herbert*, in *Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung*, 8. Auflage 2019, § 136a Rn. 29.

¹⁸ LG Frankfurt a.M., Urteil v. 28.7.2003 – 5/22 Ks 2/03 3490 Js 230118/02 (juris).

¹⁹ *Diemer, Herbert*, in *Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung*, 8 Auflage 2019, § 136a Rn. 389.

²⁰ *Diemer, Herbert*, in *Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung*, 8 Auflage 2019, § 136a Rn. 39.

²¹ *Monka, Christian*, in *Beck'scher Online Kommentar zur StPO*, § 136a Rn. 32.

²² LG Frankfurt a.M., Urteil v. 28.7.2003 – 5/22 Ks 2/03 3490 Js 230118/02 (juris).

²³ *Diemer, Herbert*, in *Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung*, 8 Auflage 2019, § 136a Rn. 41; *Heinrich, Bernd/Reinbacher, Tobias*, *Examinatorium Strafprozessrecht*, 3. Auflage 2021, S. 129.

²⁴ *Magnus, Dorothea*, *NStZ* 2022, 393, 394.

²⁵ BGHSt 53, 112.

მაშინ, როდესაც წამების მუქარით ჩატარებული დაკითხვის საფუძველზე მოპოვებული ახალი მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი (გვამის აღმოჩენა, კვალი გვამზე, საბურავის კვალი). ასეთს გერმანული სასამართლო პრაქტიკა არ იცნობს.²⁶ შესაბამისად, მიწის სასამართლომ აღნიშნული შუალობითი მტკიცებულებები გამოიყენა და ამით უარყო მტკიცებულებათა გამორიცხვის შემდგომი გავლენა.²⁷ საწინააღმდეგო მოსაზრების წარმომადგენლებს („მონამღვრული ხის ნაყოფის დოქტრინა“) მიაჩნიათ, რომ როგორც მუქარით მოპოვებული მტკიცებულებები, ასევე მისი საშუალებით მოპოვებული შემდგომი მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.²⁸

III. გადანყვეტილების ძირითადი არსი

გეფგენმა მისი ინდივიდუალური საჩივრის ფარგლებში აღნიშნა, რომ დაკითხვის დროს ადგილი ჰქონდა პოლიციელების მხრიდან მის წამებას, რაც ნიშნავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. გარდა ამისა, ის აღნიშნავდა, რომ მთლიანად პროცესის დროს დარღვეული იყო კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. აქედან გამომდინარე, გეფგენი მიიჩნევდა, რომ მისი გასამართლება არ უნდა მომხდარიყო.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი

მოსარჩელე ასაჩივრებდა, რომ 2002 წლის პირველ ოქტომბერს საპოლიციო დაკითხვისას ის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით აწამეს და რომ იგი ამ დარღვევის მსხვერპლი იყო. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია. აღნიშნული აკრძალვის დარღვევა

განაპირობებს იმას, რომ სახეზეა სახელმწიფოსთვის შერაცხული კანონდარღვევა, რომელმაც სიმძიმის გარკვეულ დონეს უნდა მიაღწიოს. შემთხვევათა ცალკეულ ჯგუფებს შორის გამიჯვნა შესაძლებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლების დარღვევის ინტენსიურობის მიხედვით.²⁹ წამება, როგორც უფლებათა შეზღუდვის ყველაზე მძიმე ფორმა, ობიექტურად ინვესს არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც დამატებით ინვესს ძალიან მძიმე და სასტიკ ტანჯვას, ხოლო სუბიექტური თვალსაზრისით გულისხმობს, რომ ტანჯვა იყოს კონკრეტულად მსხვერპლზე მიზანმიმართული.³⁰ ამასთანავე, შესაძლოა, წამების მუქარაც წამება იყოს. ამისათვის საჭიროა, რომ გადალახული იყოს სიმძიმის გარკვეული ზღვარი. წინააღმდეგ შემთხვევაში წამების მუქარა ჩაითვლება მხოლოდ არაადამიანურ მოპყრობად. ასეთს ადგილი ექნება მაშინ, როდესაც პირს დამატებით მიადგება მძიმე ფსიქიკური ან ფიზიკური ტანჯვა განსაკუთრებული ინტენსივობითა და ხანგრძლივობით. თუმცა ის ვერ მიაღწევს ინტენსივობის იმ ხარისხს, რაც წამებას ახასიათებს.³¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ამ შემთხვევაში მოსარჩელის მისამართით განხორციელებული წამების მუქარას არ მიუღწევია სისასტიკის იმ ზღვრისათვის, რომ აღნიშნული შეფასებულყო წამებად. ამიტომ ეს ქმედება შეფასდა, როგორც არაადამიანური მოპყრობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დადგენასთან ერთად ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა მსხვერპლის სტატუსის დაკარგვას (შეად. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლი). ეროვნულ დონეზე მოსარჩელის სახელმწიფომ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები (რეპარაციები), რომელთა შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა პირის მსხვერპლის სტატუსისგან გათავისუფლება.³² გერმანულმა სასამართლოებმა აღიარეს კონვენციის დარღვევა და ამის გამოსწორების მიზნით მუქარის

²⁶ BGHSt 32, 68.

²⁷ LG Frankfurt a.M., Urteil v. 28.7.2003 – 5/22 Ks 2/03 3490 Js 230118/02 (juris).

²⁸ Ransiek, Andreas/Lehnert, Marc, ZStW (Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft), Band 134, 2022, 674.

²⁹ Gaede, Karsten, in Münchener Kommentar zur StPO, 1. Aufl. 2018, Art. 3 EMRK, Rn. 15 f.

³⁰ EGMR NJW 2001, 56.

³¹ EGMR NJW 2012, 2173; EGMR NJW 2006, 3117.

³² Gaede, Karsten, in Münchener Kommentar zur StPO, 1. Aufl. 2018, Art. 3 EMRK, Rn. 26.

განმახორციელებელი პოლიციელებისა და მითითების მიმცემი ხელმძღვანელი პირის მისამართით არაერთი სისხლის სამართლის საქმე აწარმოეს. მაინის ფრანკფურტის სასამართლომ დამნაშავედ ცნო პოლიციელები და მათი ხელმძღვანელი იძულებისა და იძულების ნაქეზებისთვის და სასჯელის სახით განუსაზღვრა ფულადი ჯარიმა.³³ ევროპული სასამართლოს პალატამ 2008 წლის 30 ივნისს პირველ გადაწყვეტილებაში საკმარისად შეაფასა გერმანული სასამართლოების ქმედებები უფლებათა რეპარაციისა და დაცვის თვალსაზრისით, ისე რომ გეფგენს აღარ შეეძლო საკუთარი თავისათვის ეწოდებინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლი.³⁴ ევროპული სასამართლოს მომდევნო, 2010 წლის 1 ივნისის, დიდი პალატის გადაწყვეტილებაში კი დადგინდა, რომ სასჯელის სახედ მხოლოდ სიმბოლური ფულადი ჯარიმის განსაზღვრა ვერ შეფასდება ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე შესაბამის და ადეკვატურ რეაქციად.³⁵ მართალია, სასამართლოს ამოცანა არ არის, განსაზღვროს ბრალის ხარისხი და პროპორციული სასჯელი, თუმცა სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დაკისრებული სასჯელის აშკარა არათანაზომიერების დროს საკითხის გამოსწორება და მსხვერპლის სტატუსის დაკარგვის უარყოფა. ამდენად, მოსარჩელეს კვლავაც შეეძლო განეცხადებინა, რომ ის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლია. მოგვიანებით, აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოებულ სამოქალაქო დავაში გეფგენმა ფულადი კომპენსაციის სახით 3 000 ევრო მიიღო შემდგომი რეპარაციის ზომების გასატარებლად.³⁶

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი

მოსარჩელე ასევე აღნიშნავდა, რომ მისი მისამართით დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული

კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რამდენადაც გერმანიის სასამართლოებმა პროცესში დასაშვებად ცნეს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც მხოლოდ მისი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით წარმოებული აღიარებითი ჩვენების საფუძველზე იყო მოპოვებული. უპირატესად ეროვნული სასამართლოს გადასაწყვეტია მოცემული მტკიცებულებები უნდა იქნეს დასაშვებად ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში, თუ არა. სასამართლო პალატის შესაფასებელია საკითხი იმის შესახებ, სასამართლო პროცესი მთლიანობაში, მათ შორის მტკიცებულებათა მოპოვების პროცედურებთან მიმართებაში, იყო თუ არა სამართლიანი.³⁷ გერმანიის ფედერალური მინის სასამართლომ დამატებით მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებაში აღნიშნა, რომ ისინი ემსახურებოდნენ არა ბრალდებულის ბრალის დამტკიცებას, არამედ მისი აღიარებითი ჩვენების გადამოწმებას.³⁸ საბოლოოდ მინის სასამართლომ უარყო დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებების შემდგომი გავლენა და შუალობითი მტკიცებულებები დასაშვებად ცნო. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, თუ რა გავლენა იქონია ამ მტკიცებულებათა დასაშვებობამ სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მოხდეს მთელი რიგი სხვადასხვა უფლებებისა და მათ საპირწონედ მდგომი ინტერესების ანონ-დანონა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულმა შუალობითმა მტკიცებულებებმა არ განაპირობა ბრალის დამტკიცება და სასჯელის შეფარდება, ამისათვის აღნიშნული მტკიცებულებები არ იყო საჭირო. ასე რომ მიზეზობრივი კავშირი დაკითხვის აკრძალულ მეთოდებსა და პირის მსჯავრდებას შორის განსახილველ მტკიცებულებებთან მიმართებაში იყო განწყვეტილი. პირის მსჯავრდების ძირითადი საფუძველი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმადაც, შექმნა არსებითი განხილვისას მიცემულმა აღიარებითმა ჩვენებამ, რომელიც არ იყო იძულებით მიცემული და ჩატარდა კვალიფიციური განმარტების მიცემის შემდეგ. ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ

³³ LG Frankfurt am Main NJW 2005, 692, 693.

³⁴ EGMR, HRRS (Höchststrichterliche Rechtsprechung im Strafrecht) 2008, 627.

³⁵ EGMR NJW 2010, 3145.

³⁶ OLG Frankfurt am Main, NJW 2013, 75.

³⁷ EGMR NJW 2010, 3145.

³⁸ EGMR NJW 2010, 3145, 3149.

დაადგინა, რომ გეფგენის წინააღმდეგ პროცესი მთლიანობაში აკმაყოფილებდა სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპის მოთხოვნებს.

IV. ავტორის პოზიცია და შედეგები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაში გაკეთდა მნიშვნელოვანი განმარტება წამების აბსოლუტურ აკრძალვასთან დაკავშირებით.

სამართლებრივი სახელმწიფოს ეგზისტენციულ მახასიათებლად ითვლება წამების აკრძალვა, ისეთ სიტუაციაშიც კი, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება ანდა სახელმწიფო იმყოფება უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში.³⁹ სწორედ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებისა და სისხლისსამართლებრივად გამართლებელი საფუძვლების ნაკლოვანება განაპირობებს პოლიციის მუშაკთა მსჯავრდების მართებულობას, როგორც კონსტიტუციის პირველი მუხლის დარღვევის გარდაუვალ შედეგს.

მისასალმებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება, რომელიც არ ეთანხმება გეფგენის მოსაზრებას და მიაჩნია, რომ განხორციელებული ძალადობის მუქარა არააადამიანური მოპყრობა და არა წამება. ძალადობის მუქარის კონკრეტული გარემოებები, ინტენსიურობის ნაკლებობის გამო, ვერ აღწევენ სისასტიკის იმ დონეს, რომ შეფასდეს წამებად. თუმცა აქ სწორად შენიშნავს ევროპული სასამართლო, რომ არ იქნებოდა გამართლებული მსხვერპლის სტატუსის გაუქმება. ასევე, მთელი რიგი განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინების მიუხედავად (ის, რომ გატაცებული ბიჭის სიცოცხლე საფრთხეში იყო), პოლიციელთა მისამართით დაკისრებული მსჯავრი სწორედ რომ არის შეუსაბამო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში. ვიდრე სისხლის სამართლის პროცესი მხოლოდ სიმბოლურ სასჯელამდე მიგვიყვანს, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის სიმძიმე შესაბამის დისციპლინურ ღონისძიებაში მაინც უნდა აისახოს. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მხოლოდ შიდა გადაწყ-

ვლებას, რაც ვერ შეუშლის ხელს იმას, რომ ძალადობის მუქარის განმახორციელებელმა პოლიციის მუშაკმა უწყებაში მოგვიანებით წამყვანი პოზიცია დაიკავოს. ამ მოქმედებას ვერ ექნება შემაკავებელი ეფექტი, რომ მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ძალადობის აკრძალვის დარღვევის ფაქტები.

იმის გადამოწმების ფარგლებში, დაირღვა თუ არა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა კვალიფიციური განმარტების მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში. მისასალმებელია, რომ აღნიშნულით მოხდა ბრალდებულის უფლებათა გაძლიერება, მათ შორის, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიასთან მიმართებაში (*nemo tenetur se ipsum accusare*), რომელიც სისხლის სამართლის პროცესის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს. ბრალდებულისთვის გაკეთებული კვალიფიციური განმარტების გარეშე, რომ მის მიერ აქამდე მიცემული ჩვენებები არ იქნება გამოყენებული, ჩნდება ეჭვი – იქნება თუ არა ბრალდებულის ნება და არჩევანი თავისუფალი მისი შემდგომი დაკითხვის დროს. მხოლოდ კვალიფიციური განმარტებით არის შესაძლებელი, რომ ბრალდებულმა მომდევნო შემთხვევებში თავი ვალდებულებად არ ჩათვალოს, განმეორებით მისცეს ჩვენება.

შუალობითად მოპოვებული მტკიცებულებების შორეულ ზეგავლენასთან მიმართებაში კონვენციის მე-3 მუხლის აბსოლუტური მოქმედების აღიარება არ იქნებოდა სამართლიანი, თუკი ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა არ გამოინვევდა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. მაშინ, როდესაც კანონისა თუ კონვენციის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება პროცესს, როგორც ასეთს, ჯერ კიდევ არ ხდის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად *per se* უსამართლოდ, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შემთხვევაში არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საქმეში სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევასაც აქვს ადგილი. მართალია, აღიარებითა ჩვენებამ მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პროცესში, რადგან გეფგენის მსჯავრდება სწორედ მას დაეფუძნა, თუმცა, შუალობითად მოპოვებული მტკიცებულებებიც გამოყენებულ იქნა ეროვნულ სასამართლო პროცესში. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს გეფგენის აღიარებითი ჩვენების გადამოწმებაში, თუმცა, ევროსასამართლოს განმარტების თანახ-

³⁹ *Momsen, Carsten/ Savic, Laura*, in Beck'scher Online Kommentar, v. Heintschel-Heinegg, § 32 StGB Rn. 15.

მად, გავლენა არ ჰქონიათ ბრალის განსაზღვრისა და სასჯელის შეფარდების დროს. შედეგად, ევრო-სასამართლოში არ შექმნილა მტკიცებულებათა გამორიცხვის შემდგომი გავლენის პრობლემა, რომელსაც სასამართლო ყოველთვის საფუძვლიანად იკვლევს. საბოლოო ჯამში, სასამართლოს გადანყვეტილება მისაღებია, თუმცა, არგუმენტაცია ცალკეული მიმართულებებით სრულად დამაჯერებელი არ იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დადასტურება არ იწვევს ეროვნულ დონეზე გეფგენის საქმის განახლების ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს განმსაზღვრელი ეფექტი და ის განაჩენის გამომტან სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მომავალში თავი შეიკავონ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მსგავსი დარღვევებისგან. საქმის წარმოების განახლება მაქსიმუმ შეიძლებოდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან მიმართებაში, შეად. გერმანიის სსსკ-ის 359-ე პარაგრაფი ნომ. 6. ამგვარად, აღნიშნულმა გადანყვეტილებამ საბოლოო ჯამში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამართლებრივი მშვიდობის დამყარებაში.

გიორგი დგებუაძე: დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საქართველოს სისხლის სამართალში

თბილისი, 2021, „მერიდიანი“, ISBN: 978-9941-25-819-0, გვ. 360

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ლავერენტი მალაქელიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

გიორგი დგებუაძის ნაშრომი – დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საქართველოს სისხლის სამართალში, გამოცემული 2021 წელს – ქართულ ენაზე პირველი მცდელობაა საქართველოს სისხლის სამართალში სიღრმისეულად გაანალიზდეს ინდივიდუალური შერაცხვის პრობლემა. კერძოდ, როგორც ცნობილია, ინდივიდუალური შერაცხვის მოდელები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართალში განვითარდა, ჩამოყალიბდა სწორედ ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით. ეს საკითხი სისხლის სამართლის დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფართომასშტაბიანი და სისტემური დანაშაულების ჩადენისას, რომლებიც იწვევს მაღალი რანგის სამხედრო თუ პოლიტიკური ლიდერების სისხლისმართლებრივ პასუხისმგებლობას.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ამსრულებლობის ინსტიტუტზე, თუ როგორ ხდება ფართომასშტაბიანი და სისტემური საქართველოს დანაშაულების ჩადენაში ბრალდებული სამხედრო და პოლიტიკური ლიდერების სისხლისმართლებრივი დევნა, რომლებიც, თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე, წარმოადგენენ დანაშაულის ამსრულებლებს და არა თანამონაწილებს. ინდივიდუალური შერაცხვის მოდელის წარმოსაჩენად ავტორი იხილავს ინდივიდუალური სისხლისმართლებრივი პასუხისმგებლობისა და საქართველოს დანაშაულის ცნებებს, აანალიზებს საქართველოს სისხლის სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელის დაფუძნების ისტორიას, იკვლევს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის

სტატუსისეულ და დოქტრინალურ ცნებებს, პრეცედენტულ სამართალთან პარალელების გავლებით იხილავს ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ფორმებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაცია სასჯელის შეფარდებისას, რა დროსაც ერთმანეთს ადარებს დანაშაულში მონაწილეობის ანგლოამერიკულ და გერმანულ მოდელებს. მისასალმებელია, რომ ავტორი მთლიანობაში ბრმად არ იზიარებს მეცნიერთა მოსაზრებებს, აყალიბებს მთელ რიგ შემაჯამებელ დებულებებს, რაც მას აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის დოგმატიკის იმპლემენტაცია შესაძლებელია ეროვნულ სისხლის სამართალში.

პირველ თავში, ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის განხილვისას გაანალიზებულია ამ პრინციპის ფუნდამენტური მნიშვნელობა კრიმინალური შედეგის ინდივიდუალური შერაცხვისთვის, კერძოდ, რომ დანაშაულში მონაწილის სისხლისმართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა მოხდეს დანაშაულში კონტრიბუციის ხარისხის, მისი პერსონალური წვლილის გათვალისწინებით¹. ასეთი „სისხლისმართლებრივი წვლილის“ მტკიცება მხოლოდ სისხლის სამართლის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა². სწორედ საქართველოს სამართალი „უკვეთავს“ სისხლის სამართალს

¹ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საქართველოს სისხლის სამართალში, 2021, გვ. 41.

² *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საქართველოს სისხლის სამართალში, 2021, გვ. 42.

მის მიერ განსაზღვრული ქმედების დასჯას³. ავტორის მოსაზრება მართებულია, რომ ამ პროცესში სისხლის სამართლის ინტერვენცია თავისდაუნებურად ხდება ისეთი საკითხების განხილვისას, როგორებიცაა პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი და გამომრიცხველი გარემოებები, ამსრულებლობა, თანამონაწილეობა, უმოქმედობა და სხვა⁴.

ავტორი მართებულად მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის მიერ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება ხელს არ უშლის საერთაშორისო სამართალს დამოუკიდებლად „იმუშაოს“ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პარალელურად შეიძლება განიხილებოდეს⁵. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხშირად მოქმედებს როგორც გიგანტური დანაშაულებრივი ორგანიზაცია და საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისას შეუძლებელია ერთი კრიმინალური აქტის განსხვავება მეორისგან, კონკრეტული ინდივიდის შემხებლობა კოლექტიური ხასიათის დანაშაულთან უნდა დადგინდეს სწორედ ინდივიდის წვლილის პროპორციულად. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, დაეკისრება იმას, ვინც იყო გადაწყვეტილების მთავარი მიმღები დაჯგუფების, გაერთიანების, ორგანიზაციის ფარგლებში⁶.

მესამე თავში ავტორი ახალიზებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისტორიას ძველი პერიოდიდან, განსაკუთრებით, ვერსალიდან ჰააგამდე, მის დადებით და უარყოფით მხარეებს. გამოკვლეულია ნიურნბერგის ტრიბუნალის სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საერთო ამსრულებლობის პრინციპი, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ამსრულებლობა-თა-

ნამონაწილეობის პრინციპისაგან და ეყრდნობოდა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობისა და საერთო მიზნის განხორციელების ცნებებს⁷. მიუხედავად იმისა, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდებოდა დანაშაულებრივ ორგანიზაციებზე, ავტორი სწორად მიუთითებს, რომ ეს არ გულისხმობდა კოლექტიურ პასუხისმგებლობას მხოლოდ წევრობისათვის, არამედ ისევე ბოდა დანაშაულებრივ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა⁸. ნიგში ასევე გაანალიზებულია ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა საკონტროლო საბჭოს N10 კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სახეები: დანაშაულის შეთქმულება, „საერთო მიზნისა“ და დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის დოქტრინები; ამ სახეების განმასხვავებელი ნიშნები, რომლებმაც შემდგომ საფუძველი ჩაუყარეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის უახლეს ფორმებს⁹.

ავტორი სიღრმისეულად იკვლევს JCE-ის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინას, პრეცედენტული სამართლის მიერ შექმნილ მატერიალურ და მენტალურ ელემენტებს, მისი შექმნისა და გამოყენების აუცილებლობას. სწორად აკრიტიკებს JCE-ის იმის გამო, რომ იგი თავისი შინაარსით პირდაპირ შედეგზეა ორიენტირებული, ხელმძღვანელ პირთა დასასჯელად და ეწინააღმდეგება სისხლის სამართალში თანამსრულებლობის სისტემურ ცნებას¹⁰. კერძოდ, დაჯგუფებაში წევრობა გაიგივებულია დანაშაულის ჩადენასთან – იგი არასაკმარისი მტკიცებულებებით ასაბუთებს ინდივიდუალურ ბრალს¹¹. ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს კაზესესა და მის მიმდევრებს, რომლებიც

³ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 45.

⁴ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 42 და შემდგომი.

⁵ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 42-43.

⁶ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 45-46.

⁷ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 57-61.

⁸ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 59-61.

⁹ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 64-66.

¹⁰ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 111, 142.

¹¹ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 144-145, 183-184.

ფართომასშტაბიან, სისტემატურ და სისტემურ დანაშაულებში ამსრულებლის უკან მდგომი პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მტკიცების სირთულით ამართლებდნენ JCE-ის გამოყენებას¹². ამის გათვალისწინებით, გაკრიტიკებულია JCE-ის მესამე კატეგორია, რომლითაც ქმედება ხორციელდება დაჯგუფების მიზნის გარეთ, მაგრამ გამომდინარეობს შედეგიდან, რითაც იგი წინააღმდეგობაშია სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებთან. უპირველეს ყოვლისა, იგი ეწინააღმდეგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, პირის ბრალეულობა უნდა იყოს დანაშაულში მის მიერ შეტანილი წვლილის ადეკვატური. ასევე, დოქტორანტი აკრიტიკებს JCE-ის *nullum crimen sine lege* – პრინციპთან შეუსაბამობის გამო და საკმარისად არ მიიჩნევს კაზუსებს დასაბუთებას, რომ პრინციპი არ კრძალავს სამართლის პროგრესულ განვითარებასა და ინტერპრეტაციას.

ავტორი მართებულად უთითებს, რომ პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ობიექტური და სუბიექტური გარემოებები საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში ისე ფართოდ იქნა განმარტებული, რი იგი პრინციპულ წინააღმდეგობაში მოვიდა სისხლის სამართალთან¹³.

ნაშრომში სიღრმისეულადაა გამოკვლეულია ამსრულებლობის დოქტრინები ICC-ს საქმიანობაში. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ბირთვის წარმოადგენს ამსრულებლობის დოქტრინა, რომელიც უზრუნველყოფს თანამონაწილეობის დასჯადობას¹⁴. პრეცედენტულ სამართალში დაფუძნებულმა თანამსრულებლობის, არაპირდაპირი (შუალობითი) ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (შუალობითი) თანამსრულებლობის დოქტრინებმა მაქსიმალურად გამოასწორეს JCE-ის ხარვეზები. ავტორი არგუმენტირებულად არ იზიარებს ფულფორდისა და უინგაერტის კრიტიკულ მოსაზრებებს

ქმედებაზე ბატონობის (დანაშაულზე-ორგანიზაციაზე კონტროლის) თეორიასთან მიმართებით¹⁵. მისი აზრით, დანაშაულზე-ორგანიზაციაზე კონტროლის კონცეფციის დაფუძნებითა და სხვა მატერიალური და მენტალური ელემენტების ზუსტი ფორმულირებით, ICC-ს მიერ ჩამოყალიბებულმა ახალმა დოქტრინებმა უფრო კარგად, სისხლის სამართლის პრინციპებთან პრაგმატულ კავშირში დაასაბუთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში მონაწილეობისათვის¹⁶.

დანაშაულზე-ორგანიზაციაზე კონტროლის კონცეფცია, JCE-ისთან შედარებით, არგუმენტირებულად მიჯნავს ამსრულებელს თანამონაწილისგან – თუ ვინ არის უფრო მეტად პასუხისმგებელი¹⁷. თუ თანამსრულებლობის დოქტრინისას დანაშაულზე კონტროლის მქონე რამდენიმე ადამიანი მოქმედებს კოორდინირებულად მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად¹⁸, არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინისას ორგანიზაციაზე კონტროლის მქონე პირი სჩადის დანაშაულს ორგანიზებული აპარატის მეშვეობით, სადაც პირდაპირი და არაპირდაპირი ამსრულებლები მოქმედებენ, აპარატის წევრები კარგავენ დამოუკიდებელი ამსრულებლის როლს და მოიაზრებიან უბრალო წევრებად „ორგანიზაციაში“. პირდაპირი ამსრულებელი დანაშაულის მატერიალურ და მენტალურ ელემენტებს ასრულებს, ხოლო არაპირდაპირი ამსრულებელი ახორციელებს კონტროლს პირდაპირ ამსრულებელზე „ორგანიზაციის“ მეშვეობით¹⁹. ავტორი სწორად ასკვნის, რომ დანაშაულზე-ორგანიზაციაზე კონტროლის მქონე პირს, შესაძლებელია, უფრო მეტი *de facto* ძალაუფლება

¹² დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 143.

¹³ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 140-143.

¹⁴ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 104.

¹⁵ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 175-177.

¹⁶ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 284.

¹⁷ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 151-154, 159-161.

¹⁸ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 149-154.

¹⁹ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 154-161.

ჰქონდეს, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც კრიმინალური დაჯგუფების აქტიური მონაწილეა²⁰.

თუ პირს უფრო მეტი ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, იგი არ შეიძლება ქმედებაზე ბატონობის თეორიის მიხედვით თანამონაწილედ იყოს მიჩნეული, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებშიც არ შედის „მთავარი დამნაშავეს“ თანამონაწილედ, მეორე ხარისხის მონაწილედ გამოცხადება, როდესაც სისხლის სამართლის მთელი ახალი არქიტექტურა ასეთი მონაწილის პირველი ხარისხის დამნაშავედ დაფუძნების მიზნით შეიქმნა²¹.

საერთაშორისო სისხლის სამართალში გადმოტანილი ქმედებაზე ბატონობის თეორიის წარმოსაჩენად, გამოკვლეულია როქსინის გერმანული დოგმატიკა და მისი მნიშვნელოვანი გარემოებები. აიხმანის საქმის განხილვისას, ავტორი დასაბუთებულად ამახვილებს ყურადღებას როქსინის დამოკიდებულებაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმასთან მიმართებით. კერძოდ, მისი აზრით, აიხმანი, რომელიც გასცემდა მილიონობით ებრაელის მოკვლის ბრძანებას, ვერ იქნებოდა თანამონაწილე, არამედ არაპირდაპირი ამსრულებელი, ვინაიდან მის მიერ ჩადენილი ქმედება არ იყო ინდივიდუალური, არამედ „დანაშაულებრივი ორგანიზაციის“ ნაწილი. როქსინი ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ფართო მნიშვნელობით განიხილავდა, როგორც ინდივიდუალურ აქტს²².

ნაშრომში საფუძვლიანადაა გაანალიზებული არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის „ჰიბრიდული“ დოქტრინა, რომელიც ორი მიმართულებით მოქმედებს – „ჰორიზონტალური“ (თანაამსრულებლობა) და „ვერტიკალური“ (არაპირდაპირი ამსრულებლობა). ავტორი, არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობისა და JCE-ის (კერძოდ, გავრცობილი JCE-ის) დოქტრინების შედარებით-სამართლებრივი ანალიზისას, საერთო მახასიათებლების მი-

უხედავად, სწორად ასკვნის, რომ JCE და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განსხვავებული დოქტრინებია. პირველი, უმეტესწილად, ორიენტირებულია „ჰორიზონტალურ“ პასუხისმგებლობაზე, ხოლო მეორე „ვერტიკალურ“ პასუხისმგებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ JCE ფარავს არაპირდაპირ ამსრულებლობასაც, მაინც ისე, სპეციფიკურად, ვერ ასახავს მაღალი თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას, როგორც ამას არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ფარგლებში, არაპირდაპირი ამსრულებლობა აკეთებს²³.

ავტორი იზიარებს ვაიგენდის პოზიციას, რომელიც თვლის, რომ ორი პირის დასჯა, რომელიც ხელმძღვანელობს სხვადასხვა ჯგუფს, თავისუფლად შესაძლებელია მხოლოდ თანაამსრულებლობის დოქტრინით, თუ დამტკიცდება, რომ ისინი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით. ავტორი სწორად ასკვნის, რომ თანაამსრულებლობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინების გაერთიანებაში თეორიული დაბრკოლება არ არსებობს – ICC ცდილობს გერმანული დოგმატიკის ინტერნაციონალიზაციას, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ახალი გარემოებების დამატებით და მართებულად იზიარებს სლიედრეგთის მოსაზრებას, რომ ამსრულებლობის ორი ფორმის კომბინირება უნდა მოხდეს „ფრთხილად“, ინდივიდუალური ბრალეულობის პრინციპს რომ არ შეექმნას საფრთხე²⁴.

მეათე თავში განხილულია თანამონაწილეობის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს დანაშაულში „მეორე ხარისხის“ მონაწილეს. თანამონაწილეს არ გააჩნია დანაშაულზე კონტროლის შესაძლებლობა და ახორციელებს დანაშაულში არა არსებით, არამედ სუბსტანციურ კონტრიბუციას²⁵. მეთერთმეტე თავში ავტორი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სახედ გამოყოფს დანაშაულში საერთო მიზნით მოქმედი დაჯგუფების დახმარებას – თანამონაწილეობის რეზიდუალურ

²⁰ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 285.

²¹ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 179.

²² *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 182-185.

²³ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 189.

²⁴ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 201-202.

²⁵ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 205-206.

(სარეზერვო) ფორმას. ცალკე იკვლევს პრეცედენტულ სამართალში აღნიშნული ფორმისთვის დამკვიდრებულ ახალ, დანაშაულში მნიშვნელოვანი კონტრიბუციის სტანდარტს, რა დროსაც ინდივიდი თავისი ქმედებით გავლენას ახდენს დანაშაულის გამომწვევ გარემოებებზე ან/და მისი ჩადენის საშუალებებზე²⁶. ეს ფორმა გამიჯნულია JCE-ისგან. ის კითხვები, რომლებიც შეიძლება დაისვას თანამონაწილეობის რეზიდუალურ ფორმასთან რელევანტური არაა JCE-ისთვის. JCE-ის წევრობის დროს, პირს უფრო დიდი ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ვიდრე თანამონაწილეობის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ თანამონაწილეობის რეზიდუალური (სარეზერვო) ფორმა დანაშაულში თანამონაწილეობის კლასიკურ სახეს კი არ წარმოადგენს, არამედ თანამონაწილეობის სხვა ფორმას²⁷.

მეთორმეტე თავში ავტორი ამსრულებლობის კონცეფციასთან კავშირში იკვლევს მეთაურის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართალში უმოქმედობის კრიმინალიზაციის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინას. იგი JCE-ის მსგავსად, საერთაშორისო სისხლის სამართლის მიერ შექმნილი კონცეფციაა, რომლის ანალოგი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში არ მოიპოვება. ავტორი მართებულად აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მეთაურის პასუხისმგებლობა რომის სტატუტის 25-ე მუხლში მითითებული პასუხისმგებლობის სახეებისგან დამოუკიდებლად, 28-ე მუხლშია მოცემული, იგი ორგანულად 25-ე მუხლის ნაწილია და წარმოადგენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დამატებით სახეს²⁸. ნაშრომში სიღრმისეულადაა გაანალიზებული როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მეთაურების ცნებები, რომლებიც პასუხს აგებენ საერთაშორისო დანაშაულების თავიდან აცილების განუხორციელებლობის, მათი არასათანადო კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის. ასევე, გაანალიზებულია მეთაურის პასუხისმგებლობისთვის

დანესებული ეფექტიანი კონტროლის სტანდარტი, რომელიც გულისხმობს დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისა და სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელების მატერიალურ შესაძლებლობას. კარგადაა წარმოჩენილი პასუხისმგებლობის სხვა სახეებისგან განმასხვავებელი ექსკლუზიური უმოქმედობის მატერიალური და გულგრილობა-დაუდევრობის მენტალური ელემენტები²⁹.

ნაშრომში გაანალიზებულია დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კლასიფიკაციის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდებისას. ავტორის აზრით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამსრულებლობა-თანამონაწილეობის სახით დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაციას სასჯელის სიმძიმის განსაზღვრავად, იმის დასაწახად, თუ ვინ იყო უფრო მეტად პასუხისმგებელი დანაშაულებრივი შედეგის დადგომაში. ავტორი სწორად ასკვნის, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალში ამსრულებლობა-თანამონაწილეობის კონკრეტიზაციის მოდელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა³⁰. იგი სწორად აღნიშნავს, რომ რომის სტატუტის 25-ე მუხლი ეყრდნობა დანაშაულში მონაწილეობის გერმანულ მოდელს, რომელიც სტრუქტურულად გამოყოფს ძირითადი (ამსრულებლობა) და დამატებითი (თანამონაწილეობა) პასუხისმგებლობის სახეებს, ქმედებაზე ფუნქციონალურ-ორგანიზაციული ბატონობის თეორიის გამოყენებით. აღნიშნული მოდელი ავტორის მიერ შედარებულია დანაშაულში მონაწილეობის ანგლოამერიკულ მოდელთან, რომლის მიხედვითაც, დანაშაულში მონაწილე ყველა პირი არის დანაშაულის თანაგანმასხორციელებელი – ამსრულებელია მხოლოდ ის პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, დანარჩენი – თანამონაწილეები³¹.

რომის სტატუტში გერმანული დოქტრინით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება თეორიულად არგუმენტირებული და პრაგმატუ-

²⁶ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 213-215.

²⁷ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 216.

²⁸ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 217-221.

²⁹ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 223-236.

³⁰ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 247-249.

³¹ დგებუაძე, გიორგი, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 249-258.

ლია. ეს საკითხი წმინდა სისხლისსამართლებრივად უნდა გადაწყდეს, საერთაშორისო სამართლის ინტერვენციის გარეშე. ავტორი სწორად მიუთითებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებში არ შედის სახელმწიფოთა მალალი თანამდებობის პირების, „მთავარი დამნაშავეების“ თანამონაწილედ, მეორე ხარისხის მონაწილედ გამოცხადება, როდესაც სისხლის სამართლის მთელი „ახალი არქიტექტურა“ ასეთი მონაწილის პირველი ხარისხის დამნაშავედ მიჩნევის მიზნით შეიქმნა. ავტორის თვალსაზრისით, სასჯელის შეფარდებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულში შეტანილ წვლილს. დანაშაულის ჩადენა და ამსრულებლობა უნდა განიმარტოს ერთმნიშვნელოვნად. დანაშაულის სიმძიმე არ უნდა შეფასდეს მხოლოდ ერთი მარტივი კონტრიბუციით, არამედ სხვადასხვა გარემოებებით, რომლებიც განაპირობებს ქმედების არაჰუმანურ სისასტიკეს³². გასაზიარებელია ვერლეს მოსაზრება, რომ ამსრულებელი დანაშაულზე კონტროლის ელემენტით უფრო მეტად უნდა გაიკიცხოს, ვიდრე თანამონაწილე. პროპორციულობა უნდა იყოს დაცული პერსონალურ ბრალსა და სასჯელს შორის. ამის გათვალისწინებით, ავტორი მართებულად არ იზიარებს ამბოსის განსხვავებულ შეხედულებას³³.

მეთოთხმეტე თავი ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც ავტორი ასკვნის, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმულა სავსებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საერთაშორისო დანაშაულების მიმართ, მალალი თანამდებობის პირების მიერ ფართომასშტაბიანი და სისტემური დანაშაულების ჩადენისას. ავტორი ახდენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის „კოდიფიკაციას“ და განსაზღვრავს ეროვნულ სისხლის სამართალში მისი იმპლემენტაციის ფორმას, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში საერთაშორისო დანაშაულებსათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის და-

მოუკიდებელი ნორმის შეთავაზებით. აღნიშნული ნორმა მოიცავს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ძირითად, დამატებით და მეთაურის პასუხისმგებლობის ფორმებს, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინების იმპლემენტაცია. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო დოგმატიკა მატერიალური სისხლის სამართლის ქართული სისტემისათვის ასევე ყურადსაღებია იმ მხრივ, რომ იგი განიცდის გერმანული სისტემური აზროვნების ზეგავლენას და სტრუქტურულად განსხვავდება ანგლოამერიკული სისხლის სამართლის სისტემისაგან³⁴.

ნაშრომის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს დანაშაულში მონაწილეობის ფორმების სტანდარტიზაციის სისტემატიზაცია, კონტრიბუციის დონეების პროპორციულად. ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული და გამოყოფილი შემდეგი მტკიცების სტანდარტები: არსებითი კონტრიბუციის – გათვალისწინებული ამსრულებლობისათვის, სუბსტანციური კონტრიბუციის – გათვალისწინებული თანამონაწილეობისათვის, მნიშვნელოვანი კონტრიბუციის – გათვალისწინებული თანამონაწილეობის ე.წ. რეზიდუალური („სარეზერვო“) ფორმისათვის და ეფექტიანი კონტროლის – გათვალისწინებული მეთაურის პასუხისმგებლობისათვის. ავტორი სწორად მიუთითებს, დანაშაულში კონტრიბუცია არის არსებითი, სუბსტანციური თუ მნიშვნელოვანი, ჰქონდა თუ არა დამნაშავეს ეფექტიანი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, ამის მტკიცება დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე, თუ რამდენად ჰქონდა ინდივიდს დიდი თუ პატარა ეფექტის მოხდენის შესაძლებლობა ზოგადად დანაშაულზე³⁵.

ნაშრომში სათანადო ლიტერატურისა და სამართლო პრაქტიკის საფუძველზე, წარმოდგენილია საკითხის საკუთარი ხედვა, რაშიც ჩანს სამეცნიერო კვლევისა და ანალიზის ღრმა უნარი. ნაშრომში დაყენებული და განხილული არაერთი საკითხი კარგი თეორიული ბაზაა ამ პრობლემების შემდგომი მეცნიერული დისკუსიისა და კვლევა-ძი-

³² *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 263-267.

³³ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 263-264.

³⁴ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 271-275.

³⁵ *დგებუაძე, გიორგი*, დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, 2021, გვ. 288.

ებისთვის. სამეცნიერო კვლევის უსასრულობიდან გამომდინარე, იმედია, ავტორი კვლავ განაძობს მეცნიერულ კვლევას და შემოგვთავაზებს სხვადასხვა სადისკუსიო საკითხების ახლებურ ხედვას.